ბრძანება

N 04/135

135-01-4-202009301605

30/09/2020

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 10 აპრილის №04/66 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის 23-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი - „გადაწყვეტილება სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ 2020 წლის 26 თებერვლის საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 10 აპრილის №04/66 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე“ - თანდართული სახით.

2. დადასტურდეს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ (ს/ნ 404476189) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა.

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული დარღვევის აღმოფხვრის მიზნით, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგს“ დაევალოს დაუყოვნებლივ უზრუნველყოს გავრცელებული ცნობების უარყოფა შპს „Caucasian Metals Terminal”-ისათვის ოფიციალური წერილის გაგზავნის გზით.

4. დამტკიცებული გადაწყვეტილება გაეგზავნოს როგორც სს „სადაზღვევო კომპანია უნისონს“, ასევე სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგს“.

5. გადაწყვეტილება, მისი დამტკიცებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: მოკვლევის ჯგუფის 2020 წლის 28 სექტემბრის №03/150 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

საქართველოს კონკურენციის სააგენტო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ 2020 წლის 26 თებერვლის საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 10 აპრილის №04/66 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე

თბილისი

2020

სარჩევი

თავი I. შესავალი 3

ნაწილი 1. მომჩივანის პოზიცია 3

ნაწილი 2. მოპასუხის პოზიცია 4

ნაწილი 3. ადმინისტრაციული ორგანოებისაგან მიღებული ინფორმაცია 5

თავი II. ნორმატიული რეგულირება 8

ნაწილი 1. კონკურენციის კანონმდებლობა 8

ნაწილი 2. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებანი 9

თავი III. სამოტივაციო ნაწილი 10

ნაწილი 1. სააგენტოს შეფასება კანონის მე-11³ მუხლთან მიმართებით 10

ნაწილი 2. მტკიცებულებები და მათი მოპოვების საკითხი 11

ნაწილი 3. კომპანიის წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საკითხი 13

3.1. წარმომადგენლობის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის ზოგადი მიმოხილვა 13

3.2. სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ თანამშრომლის ქმედების შეფასება წარმომადგენლობის ჭრილში 17

ნაწილი 4. შპს “Caucasian Metals Terminal“ როგორც მომხმარებელი 24

ნაწილი 5. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი 28

ნაწილი 6. შესაბამისი ბაზარი 30

6.1. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები 30

6.2. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები 32

6.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო 32

ნაწილი 7. მოპასუხის წარმომადგენლის მიერ გავრცელებული ცნობების მიმართება კანონის მე-11³ მუხლთან 32

7.1. სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ შავ სიაში რეგისტრაციის გარემოება 33

7.2. სს „ბანკი ქართუს“ მიმართ სასესხო დავალიანების გარემოება 34

7.3. ელექტრონულ მიმოწერაში დაფიქსირებული ცალკეული გარემოებები და მათი მიმართება კანონის მე-11³ მუხლთან 35

თავი IV. სარეზოლუციო ნაწილი 42

თავი I. შესავალი

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 10 აპრილის №04/66 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ (შემდგომში - „სააგენტო“) დაიწყო მოკვლევა სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ მიერ (ს/ნ: 404476189) (შემდგომში - „ალდაგი“, „კომპანია ალდაგი“) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი) მე-11[3] მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. მოკვლევის დაწყებას საფუძვლად დაედო 2020 წლის 26 თებერვალს სააგენტოში სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ (ს/ნ: 404393152) (შემდგომში - „უნისონი“, „კომპანია უნისონი“) მიერ წარმოდგენილი საჩივარი (რეგ. №01/166) სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ მხრიდან კანონის მე-11[3] მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის შესახებ.

ნაწილი 1. მომჩივანის პოზიცია

მომჩივანის პოზიციით, 2019 წლის ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში სადაზღვევო კომპანია უნისონი ახორციელებდა მოლაპარაკებას შპს „Caucasian Metals Terminal“-თან თბომავლისა და ქონების დაზღვევასთან დაკავშირებით, რომელთა მიმდინარე მზღვეველს წარმოადგენდა სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“. შეთავაზებული პირობებიდან გამომდინარე, თბომავლის დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმდა სს „სადაზღვევო კომპანია უნისონთან“ 2019 წლის ნოემბერში.

შემდგომ მოლაპარაკებები გაგრძელდა ქონების დაზღვევის ნაწილში, სადაც მომჩივანს კონკურენციას კვლავ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ უწევდა. ალდაგი მოლაპარაკებებში წარმოდგენილი იყო ბათუმის რეგიონალური წარმომადგენლობის ოფისის ხელმძღვანელის ნ.ბ-ს სახით.

როგორც მომჩივანი მიუთითებს, მოლაპარაკების წარმოების დროს მისთვის ხელმისაწვდომი გახდა ალდაგის ბათუმის რეგიონალური წარმომადგენლობის ოფისის ხელმძღვანელის და შპს „Caucasian Metals Terminal“-ის მიმოწერა, სადაც მოპასუხის წარმომადგენელი გაღიზიანებულია იმ ფაქტით, რომ თბომავლის დაზღვევა დაკარგა. შედეგად კი, კონკურენტის რეპუტაციის შელახვის მიზნით, მიმოწერაში ეწევა მომჩივანის უსაფუძვლო კრიტიკასა და დისკრედიტაციას.

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ მტკიცებით, ნ.ბ-ს მიერ გავრცელებული ცნობები ცალსახად არ შეესაბამება სიმართლეს და ადგილი აქვს ცრუ, მადისკრედიტირებელი და იმიჯის შემლახავი ცნობების გავრცელებას.

მომჩივანი უთითებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11[3] მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ მოპასუხის წარმომადგენლის უსაფუძვლო კრიტიკას შედეგად მოჰყვა უკეთესი პირობების შემთავაზებელი სადაზღვევო კომპანიის დისკრედიტაცია და ხელშეკრულება საბოლოოდ კვლავ ალდაგთან გაფორმდა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა უნისონს. კერძოდ, მიუღებელი პრემია შეადგენს 25 000 ლარს.

მომჩივანმა წარმოდგენილ კორესპონდენციაში[1] დამატებით მოითხოვა სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ მენეჯმენტისა და გაყიდვების აგენტების მიმოწერის ამოღება იმის დასადგენად, თუ რამდენად სისტემატურად მიმართავდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გზით უპირატესობის მოპოვების მცდელობებს. გამომდინარე იქედან, რომ მსგავსი ინფორმაცია საჩივარში დასმული კონკრეტული ფაქტის იურიდიულ შეფასებასა თუ დადასტურებაზე ვერ მოახდენდა არსებით გავლენას, მენეჯმენტისა და გაყიდვების აგენტებისაგან ინფორმაციის გამოთხოვის შუამდგომლობა არ იქნა დაკმაყოფილებული.[2]

ნაწილი 2. მოპასუხის პოზიცია

მოპასუხის განმარტებით, თბომავლის დაზღვევასთან დაკავშირებით წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, 2019 წლის 25 ნოემბერს ნ.ბ-მ კლიენტისგან მიიღო ინფორმაცია, რომ შპს „Caucasian Metals Terminal“-ის დამფუძნებელმა კომპანია C.I.I. Clay Industries International Limited-მა სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ ნ.ბ.-ს ახსნა-განმარტების შესაბამისად, შპს „Caucasian Metals Terminal“-ის ხელმძღვანელ პირებსა და ნ.ბ-ს შორის არსებობს ახლო მეგობრული კავშირები, რაც გამყარებულია წლების მანძილზე მათი ოჯახების ურთიერთობით. შესაბამისად, მას შემდგომ, რაც ნ.ბ-სთვის გახდა ცნობილი, რომ თბომავლის დაზღვევას მომჩივანი განახორციელებდა, კლიენტთან გაგრძელდა მიმოწერა, რომელიც, როგორც ნ.ბ. და შპს „Caucasian Metals Terminal“-ის ხელმძღვანელი მიუთითებენ,[3] არ ატარებდა საქმიან ხასიათს, რადგანაც მისთვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ ეს ინფორმაცია ვერ გახდებოდა გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველი.

მოპასუხე ასევე განმარტავს, რომ ნ.ბ-ს არ გააჩნია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ხოლო 2019 წლის 19 აგვისტოს გაცემული მინდობილობის თანახმად, იგი უფლებამოსილია ხელი მოაწეროს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ მიერ გასაფორმებელ იპოთეკისა და გირავნობის ხელშეკრულებებს და ყველა სხვა დოკუმენტს, რაც

[1] სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ 2020 წლის 15 აპრილის №01/220 წერილი.
[2] კონკურენციის სააგენტოს 2020 წლის 20 ივლისის №02/491 წერილი
[3] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 10 მარტის №01/183 წერილი და დანართები.

დაკავშირებულია იპოთეკისა და გირავნობის უფლების წარმოშობასთან. ასევე, იგი არის მარწმუნებლის წარმომადგენელი საჯარო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სახელმწიფო ორგანოებში, ასევე, უფლებამოსილია შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, რაც აუცილებელია საჯარო რეესტრის ჩანაწერში იპოთეკისა და გირავნობის რეგისტრაციისთვის. შესაბამისად, წინამდებარე კომუნიკაციის ინიციატორს არ წარმოადგენს მოპასუხე კომპანია, არამედ ნ.ბ. დამოუკიდებლად/თვითნებურად უზიარებდა მეგობრებს მის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას და ეს ფაქტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა განიმარტოს, როგორც მზღვეველი ორგანიზაციის პოზიცია.

მოპასუხე დამატებით მიუთითებს, რომ ქონების დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებაზე, როგორც დამფუძნებელი კომპანიის, ისე თავად უშუალოდ შპს „Caucasian Metals Terminal"-ის გადაწყვეტილება დაეფუძნა მხოლოდ მზღვეველი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ ტარიფს, გამოცდილებას და დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის საიტზე განთავსებულ ინფორმაციას. შესაბამისად, კანდიდატებს შორის სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის" შემოთავაზებას წინამდებარე ფაქტორების გათვალისწინებით მიენიჭა უპირატესობა. ამდენად, საუბარი იმაზე, რომ ნ.ბ-ს მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ ზეგავლენა მოახდინა კლიენტზე, რაც საბოლოოდ გამოიხატა მომჩივნის შემოთავაზებაზე უარის თქმაში, მოკლებულია როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ საფუძვლებს. ამასთან, მოპასუხე დამატებით წარმოდგენილ პოზიციაში[4] ხაზს უსვამს, რომ როგორც შპს „Caucasian Metals Terminal"-ის ხელმძღვანელისაგან მიღებული ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, მათ არ მიუწოდებიათ ნ.ბ-ს მიერ გავრცელებული ცნობები დამფუძნებელი კომპანიისათვის და შესაბამისად, არც ქონების დაზღვევის შესახებ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაზე მოუხდენია მიმოწერაში გაჟღერებულ ინფორმაციას გავლენა.

ამასთან, მოპასუხის მიერ დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ განხორციელებულ ელექტრონულ მიმოწერაზე სააგენტოსგან ინფორმაციის მიღების შემდგომ კომპანია ალდაგის კორპორატიული შინაგანაწესის დარღვევის გამო, ნ.ბ-ს გამოეცხადა წერილობითი საყვედური.

ნაწილი 3. ადმინისტრაციული ორგანოებისაგან მიღებული ინფორმაცია

მიმდინარე მოკვლევის პროცესში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამორკვევისა და დაზუსტების მიზნით, სააგენტოს მხრიდან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს, კერძოდ, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურსა[5]

[4] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის" 2020 წლის 26 აგვისტოს №01/428 წერილი.
[5] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2020 წლის 16 აპრილის №02/324 წერილი.

(შემდგომში „ზედამხედველობის სამსახური“) და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (შემდგომში „შესყიდვების სააგენტო“).[6]

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

სააგენტომ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დაზუსტების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან გამოითხოვა ინფორმაცია 2017-2019 წლებში სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ შავ სიაში ყოფნის შესახებ. შესყიდვების სააგენტომ კონკურენციის სააგენტოს განუმარტა,[7] რომ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ SPA170013822 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2017 წლის 22 დეკემბრის №0300/30/294 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2018 წლის 29 მაისის №01/3403 წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 16 აგვისტოს №1942 განკარგულებით 2018 წლის 17 აგვისტოს დარეგისტრირდა შავ სიაში.

თუმცა, შესყიდვების სააგენტოს განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2018 წლის 23 აგვისტოს მიღებული განჩინების საფუძველზე (№3/5332-18), შეჩერებულ იქნა შესყიდვების სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება. ხოლო შესყიდვების სააგენტომ 2018 წლის 30 აგვისტოდან შეაჩერა სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 16 აგვისტოს №1942 განკარგულების საფუძველზე არსებულ შავ სიაში რეგისტრაციაც.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

ზედამხედველობის სამსახური სააგენტოსთან წარმოებულ კორესპონდენციაში[8] ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე, რომ სადაზღვევო სფეროში არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილია დასახელებული ბაზრის ფინანსური გამჭვირვალობა, რაც შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, გაეცნოს ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიების ფინანსურ მონაცემებს.

[6] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2020 წლის 16 აპრილის №02/326 წერილი.
[7] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2020 წლის 28 აპრილის №01/236 წერილი.
[8] სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 27 აპრილის №01/235 წერილი.

ზედამხედველობის სამსახური სააგენტოსთან შემდგომ კომუნიკაციაში[9] ყურადღებას ამახვილებს სადავო კორესპონდენციის ავტორის, ნ.ბ-ს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საკითხზე.

ზედამხედველობის სამსახურის პოზიციით, „ალდაგის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით,[10] ზემოაღნიშნულ თანამშრომელს კომპანიის სახელით მოქმედების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მხოლოდ მზღვეველის სახელით გირავნობის და იპოთეკის ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა და მათი რეგისტრაციისთვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელების ნაწილში, ალდაგის გენერალური დირექტორის მიერ 2019 წლის 19 აგვისტოს გაცემული რწმუნებულების საფუძველზე. სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ მიერ ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენილ მასალებში არ იკვეთება, რომ ეს თანამშრომელი უფლებამოსილი იყო მზღვეველის სახელით ეწარმოებინა ოფიციალური მოლაპარაკებები ქონების დაზღვევის ხელშეკრულებების დადების თაობაზე.

ზედამხედველობის სამსახური მითითებით, თანამშრომლისა და სადაზღვევო ორგანიზაციის ნებასა და სამოქმედო სტანდარტების თაობაზე მსჯელობისას საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგმა“ მიმდინარე წლის 5 მარტს ნ.ბ-ს გამოუცხადა წერილობითი საყვედური. აქედან გამომდინარე, სამსახურის განმარტებით, მის ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე არ გამოვლინდა, რომ თანამშრომელი მოქმედებდა მზღვეველის დავალებით/სახელით ან მისი პოლიტიკის შესაბამისად.

მოკვლევის მიზნებისათვის დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელთან 2020 წლის 30 ივნისს.

ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უწყებას არ გააჩნია ალდაგის თანამშრომლის მიერ განხორციელებული ქმედების შეფასების უფლებამოსილება. თუმცა, თუკი კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებით დადგინდება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განხორციელების ფაქტი, აღნიშნული დასკვნა იქნება სამოქმედო ზედამხედველობის სამსახურისათვის, რომელიც უფლებამოსილია, დაადგინოს კონკრეტული ქმედების შედეგად დამდგარი ზიანი და დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვიტოს, რამდენად საკმარისია მზღვეველის მიერ შიდა რეგულაციების შესაბამისად გატარებული დისციპლინური ზომები, ამ შემთხვევაში - საყვედური. ამასთან, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ზედამხედველობის სამსახური აფასებს მზღვეველი ორგანიზაციის კეთილსინდისიერების პრინციპების შესრულებას უშუალოდ სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისას.

---

[9] სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 6 მაისის №01/258 წერილი.

[10] სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 6 მაისის №01/258 წერილით წარმოდგენილი დანართი.

თავი II. ნორმატიული რეგულირება

ნაწილი 1. კონკურენციის კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება კონკურენციას, ეკონომიკური რესტრუქტურიზაციისა და მოდერნიზაციისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევს.[11] ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლის თანახმად, მხარეებს მათ შესაბამის ტერიტორიაზე უნდა გააჩნდეთ ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები, რომლებიც ეფექტიანად იქნება მიმართული ანტიკონკურენციულ შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ქმედებაზე და რომლებიც ითვალისწინებს შერწყმების ეფექტიან კონტროლს, თავისუფალი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, მათ შორის, ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა და მათ საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები

კანონის მე-11[3] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს, კერძოდ:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს;

[11] იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმების პრეამბულა, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტის კოდი 480610000.03.030.016275

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდან მომხმარებლის ინტერესების უგულებელყოფით იმოქმედოს;

ზ) ბოიკოტისაკენ მოწოდება.

ნაწილი 2. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებანი

კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე უფლებამოსილების მქონე ორგანოა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კონკურენციის სააგენტო.

სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა.

კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია „საქმესთან დაკავშირებით შესაბამის ეკონომიკურ აგენტს, სხვა დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ინფორმაცია, მათ შორის, მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო ურთიერთობების შესახებ, გაეცნოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტაციას“. ამავე კანონის 32-ე მუხლი კი ითვალისწინებს სანქციას სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის წარმოუდგენლობისათვის.

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების მე-8 მუხლის თანახმად, სააგენტო საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს საქმის მოკვლევას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას 3 თვის ვადაში. საქმის მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია

გაგრძელდეს სააგენტოს მიერ განსაზღვრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 10 თვისა.

აღნიშნული წესის მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

თავი III. სამოტივაციო ნაწილი

ნაწილი 1. სააგენტოს შეფასება კანონის მე-11³ მუხლთან მიმართებით

კანონის მე-11³ მუხლის მიზნებისათვის, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად დასაკვალიფიცირებლად, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა:

ა) ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს;

ბ) ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;

გ) ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს;

დ) სახეზე უნდა იყოს მე-11³ მუხლით განსაზღვრული კონკრეტული ქმედება.

ა) ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც, ზოგადად, ქართული კანონმდებლობა, არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „საქმიანი ეთიკის ნორმებში“. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში კერძო სამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად შეასრულონ თავიანთი უფლება-მოვალეობები.

ბ) ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს: კანონის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით, პოტენციური ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე ამჟამად მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

გ) ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი არ იცნობს სპეციალურ ტერმინს „მომხმარებელი“. თუმცა, მისი განმარტება მოცემულია „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-3 ბრძანების (შემდგომში „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“) მეორე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც მომხმარებელი არის პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს პროდუქციას/მომსახურებას. შესაბამისად, სააგენტოში წარმოებული მოკვლევის მიზნებისათვის, მომხმარებლად მიიჩნევა როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიულ პირი, რომლის სასარგებლოდაც ხდება პროდუქციის ან მომსახურების შეძენა პირადი ან სამეწარმეო მიზნით და რომელიც, სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის მხარედ.

დ) სახეზე უნდა იყოს მე-11³ მუხლით განსაზღვრული კონკრეტული ქმედება: და ბოლოს, არაკეთილსინდისიერ კონკურენციად კვალიფიკაციისთვის, ქმედება უნდა ემთხვეოდეს კანონით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემადგენლობას.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივარში დაფიქსირებული და მოკვლევის განმავლობაში გამოკვეთილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააგენტომ იმსჯელა კანონის მე-11³ მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაძლო დარღვევაზე. თავის მხრივ, აღნიშული ქვეპუნქტი მოიაზრებს ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვას (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მის უსაფუძვლო კრიტიკას ან დისკრედიტაციას.

ნაწილი 2. მტკიცებულებები და მათი მოპოვების საკითხი

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ მიერ წარმოდგენილ საჩივარს დანართის სახით ახლავს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ თანამშრომლის, ნ.ბ-სა და შპს „Caucasian Metals Terminal”-ის თანამშრომლების მიმოწერა. აღნიშნული მიმოწერა განხორციელებული იყო შესაბამისი პირების სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტებით, თუმცა ადრესატს არც ერთი ფოსტის შემთხვევაში არ წარმოადგენს მომჩივანი მხარე.

მოპასუხე ეკონომიკური აგენტის პოზიციით, სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ მიერ მოხდა მიმოწერის უკანონოდ მოპოვება.[12] მოპასუხე აპელირებს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლზე (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-15 მუხლი), რომლის თანახმადაც, ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. მოპასუხე ხაზს უსვამს, რომ „ინდივიდმა კერძო საუბრები უნდა აწარმოოს იმის ეჭვისა და შიშის გარეშე, რომ საიდუმლო ჩანაწერს ვინმე მისი ნებართვის გარეშე და ნების საწინააღმდეგოს გამოიყენებს“. შესაბამისად, კომპანიის პოზიციით, ნ.ბ-სა და კლიენტს შორის განხორციელებული პირადი

[12] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 10 მარტის №01/183 წერილი.

საუბრის ფარული გამოყენება ნებართვის გარეშე და მისი მტკიცებულებად სააგენტოში გამოყენება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლს.

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონმა“ აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტოში წარმოადგინა პოზიცია, სადაც განმარტა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი, მისი შინაარსი, მოქმედების სფერო და მასში ჩარევის შესაძლებლობები.[13] თუმცა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოება, სადაც მომჩივანი უთითებს მიმოწერის მოპოვების წყაროს თაობაზე. კერძოდ, მიმოწერა სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ თანამშრომელმა ი.გ-მ სამსახურებრივ მეილზე მიიღო შპს „Caucasian Metals Terminal”-ის მხრიდან.[14] შესაბამისად, მომჩივანის მხრიდან ელექტრონული ფოსტის მიმოწერის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მოპოვება არ დასტურდება კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილი მასალით.

ამასთანავე, მოკვლევის დაწყების შემდგომ, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგმა“, სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, სააგენტოს მიაწოდა ელექტრონული ფოსტით განხორციელებული ვრცელი მიმოწერა ნ.ბ-ს-სა და შპს „Caucasian Metals Terminal”-ს შორის, აღნიშნულ მიმოწერაში ასევე ჩართულია სადავოდ გამხდარი მიმოწერა.[15] ამდენად, კონკურენციის სააგენტოს, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სხვა წყაროდანაც აქვს მიღებული სადავო მიმოწერა, რასაც, მისი კომპეტენციის ფარგლებში, შეუძლია მისცეს სამართლებრივი შეფასება.

აღსანიშნავია, რომ მტკიცებულების ავთენტურობისა და კანონიერების საკითხი არც შპს „Caucasian Metals Terminal”-ს გაუხდია სადავოდ. შესაბამისად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მიმოწერის არცერთი მხარე არ აყენებს ეჭვქვეშ მისი შინაარსის ნამდვილობას და ადასტურებს, რომ მსგავსი მიმოწერა ნამდვილად შედგა, სააგენტო ამოწურულად მიიჩნევს მტკიცებულების კანონიერებისა და ავთენტურობის საკითხზე მსჯელობას.[16]

ამასთან, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციით, არც სხვა შესაბამის უფლებამოსილ უწყებაში მიმდინარეობს დავა მტკიცებულების მოპოვების კანონიერებასთან დაკავშირებით, ამდენად, სააგენტო არ ფლობს უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან დადასტურებულ ინფორმაციას მიმოწერის კანონდარღვევით მოპოვების თაობაზე და იმ პირობებში, როდესაც მხარეები ეჭვქვეშ არ აყენებენ მიმოწერის ნამდვილობას, სამართლებრივი შეფასების განხორციელებისას, იყენებს ამ მიმოწერას, როგორც საქმეში არსებულ ფაქტობრივ მოცემულობას.

[13] სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ 2020 წლის 15 მაისის №01/269 წერილი.
[14] სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ 2020 წლის 4 მაისის №01/249 წერილი.
[15] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 4 ივნისის №01/289 წერილით წარმოდგენილი დანართები.
[16] სსიპ კონკურენციის სააგენტო ახსნა-განმარტების სხდომის ოქმი №2, 4/08/2020.

ნაწილი 3. კომპანიის წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საკითხი

3.1. წარმომადგენლობის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის ზოგადი მიმოხილვა

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ თანამშრომლის, ნ.ბ-ს ქმედების შესაფასებლად მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რა უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა იგი და აღიქმება თუ არა მისი, როგორც თანამშრომლის ქმედება, კომპანიის პოზიციად.

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებით,[17] ნ.ბ-ს ქმედება არ უნდა იქნას მიჩნეული სადაზღვევო კომპანიის ქმედებად, რადგან მას არ გააჩნდა შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. მისი მინდობილობის თანახმად, იგი უფლებამოსილი იყო ხელი მოეწერა კომპანიის მიერ გასაფორმებელ იპოთეკისა და გირავნობის ხელშეკრულებებზე და მასთან დაკავშირებულ ყველა ხელშეკრულებაზე. ასევე, ნ. ბ. იყო მარწმუნებლის წარმომადგენელი საჯარო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სახელმწიფო ორგანოებში, ასევე უფლებამოსილი გახლდათ შეესრულებინა ყველა სხვა მოქმედება, რაც აუცილებელია საჯარო რეესტრში ჩანაწერის იპოთეკისა და გირავნობის რეგისტრაციასთან. კომპანიის პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ ნ.ბ-სა და შპს „Caucasian Metals Terminal”-ს შორის მიმოწერა განხორციელდა სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით, ის არ ატარებდა საქმიან ხასიათს და წარმოადგენდა მეგობრებს შორის გაზიარებულ ინფორმაციას, რომელსაც არ შეეძლო იმთავითვე შეეცვალა გადაწყვეტილება სს „სადაზღვევო კომპანია უნისონთან“ მიმართებით. აღსანიშნავია, რომ მოპასუხე აქცენტს აკეთებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არქონაზე. თუმცა, სააგენტო განმარტავს, რომ წარმომადგენლობა, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, არ შემოიფარგლება მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით და იგი ბევრად ფართო ცნებაა. ამასთან, მიმდინარე საქმისათვის, უშუალოდ კონკურენციის კანონმდებლობაში არსებული კანონდარღვევის - არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კვალიფიკაციისთვის, არსებითი მნიშვნელობისაა, განმარტებულ იქნას წარმომადგენლობის აღქმადობა მომხმარებლის გადმოსახედიდან.

თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებებიდან გამომდინარე, ხშირად შეუძლებელია ერთი პირის მიერ დადებული იქნას მასთან ან მის კომპანიასთან დაკავშირებული ყველა გარიგება. წარმომადგენლობის მეშვეობით შესაძლებელია შრომის დანაწილება მოხდეს ეფექტურად, ზედმეტი წინაღობების გარეშე,[18] რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ბიზნესის წარმატებას. წარმომადგენლობის ინსტიტუტის განვითარება

---

[17] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 10 მარტის №01/183 წერილი.

[18] *პაპიძე ხ, „უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენელი და მესამე პირთა დაცვა“,* სამაგისტრო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2019, გვ. 1.

დიდწილად უზრუნველყოფს და დაკავშირებულია სწორედ სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებასთან. წარმომადგენლობა სამმხრივი ურთიერთობის ნიმუშია და მისი მთავარი გამოწვევაც მხარეთა ინტერესების დაბალანსებაშია.[19] უნდა აღინიშნოს, რომ წარმომადგენლობის ინსტიტუტი სამოქალაქო სამართლის მამოძრავებელი პრინციპის, კერძო ავტონომიისა და კონსტიტუციით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითადი უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ფორმაა.[20]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - სსკ) 103-ე მუხლის თანახმად, გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლოა გამომდინარეობდეს კანონიდან ან მინიჭებული იყოს დავალების საფუძველზე. წარმომადგენლობა დაუშვებელია, როდესაც გარიგების ხასიათიდან გამომდინარე, ის უშუალოდ უნდა დადოს წარმოდგენილმა პირმა ან აკრძალულია კანონით. მნიშვნელოვანია, რომ წარმომადგენელი თავად უნდა მოქმედებდეს გარიგების დადების მიზნით, თავად უნდა ავლენდეს გარიგების დადების ნებას, რომელიც წარმოდგენილი პირის ნებას უნდა შეესაბამებოდეს. წარმომადგენლობასთან დაკავშირებული პრინციპების რეალიზებისათვის უმნიშვნელოვანესია წარმომადგენლობის მარეგულირებელი ნორმების როგორც საკანონმდებლო მოცემულობა, ასევე მისი პრაქტიკაში გამოყენება. რწმუნებულებით ურთიერთობაში მინიმუმ სამი პირი მონაწილეობს - წარმოდგენილი პირი, წარმომადგენელი და პირი, ვისთანაც სურდა ან სურს წარმოდგენილ პირს გარიგების დადება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წარმოდგენილი პირისა და წარმომადგენლის ურთიერთობის ნიუანსების შესწავლა, არამედ მესამე პირთან დაკავშირებული სამართლებრივი მდგომარეობის გაანალიზება. პირველ რიგში, სწორედ მესამე პირების დაცვას ემსახურება შეცნობადობა იმისა, რომ წარმომადგენელი ნამდვილად წარმოდგენილი პირის სახელით მოქმედებს. აღნიშნული ასევე მოიხსენიება საჯაროობის პრინციპით, რაც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს წარმომადგენლობის ინსტიტუტის სწორად განვითარებაში. სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმომადგენლის მიერ გამოვლენილი ნება, მასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები წარმოეშვება მხოლოდ და მხოლოდ წარმოდგენილ პირს, შესაბამისად ნების გამოვლენის ეტაპზე კონტრაჰენტის ვინაობის შეცნობადობა და სიცხადე მნიშვნელოვანი კომპონენტია წარმომადგენლობის მეშვეობით გარიგების დადებისას.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადაცემის რაიმე წინასწარ დადგენილი საკანონმდებლო იმპერატიული მოთხოვნა არ არსებობს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, პირისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება ხდება მინდობილობის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ შესაძლოა იყოს ზოგადი, სპეციალური ან

---

[19] იქვე, გვ. 7.

[20] ***ერქვანია თ, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით),*** მართლმსაჯულება და კანონი, №3(34)'12, გვ. 28.

ერთჯერადი.[21] მინდობილობის[22] გაცემას წინ უსწრებს გარკვეული შეთანხმება წარმოდგენილ პირსა და წარმომადგენელს შორის. თუმცა შესაძლებელია, პირისათვის რაიმეს დაკისრება მოხდეს ხელშეკრულების საფუძველზე.[23] შრომითი ურთიერთობა, ისევე როგორც დავალება, ამხანაგობა/პარტნიორობა, ასევე სხვა მონათესავე სამართალურთიერთობები, განეკუთვნება წარმომადგენელსა და წარმოდგენილს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობათა კატეგორიას.[24] გარდა ამისა, წარმომადგენლობის როგორც ინსტიტუტის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის არსებითად მნიშვნელოვანია, მკაფიო ზღვარი იქნას გავლებული იმ ურთიერთობას, რომელიც საფუძვლად დაედო რწმუნებულების წარმოშობას (ე.წ. შიდა ურთიერთობა) და მესამე პირსა და წარმომადგენელს შორის დადებული გარიგების შედეგად წარმოშობილ სამართლებრივ შედეგებს შორის.[25]

სსკ-ის 104-ე მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს მესამე პირის ინტერესების დაცვის ერთგვარ სტანდარტს. საქმე ეხება შემთხვევას, როდესაც მესამე პირმა კეთილსინდისიერად, ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით ივარაუდა, რომ ნების გამოვლენის შედეგების ადრესატს წარმოადგენდა მარწმუნებელი.[26] ბუნებრივია, მხარე არ იქნება დაცვის ღირსი, თუ მისი წარმოდგენები ეფუძნება სიმართლესთან შეუსაბამო მოვლენებს და დამოკიდებულია მხოლოდ მის სუბიექტურ აღქმაზე. გადამწყვეტი გარემოებაა, რომ მხარე იყოს ფაქტებისა და გარემოებების მიმართ კეთილსინდისიერი. მხარეებისათვის იმის ცოდნა, თუ ვისთან დებენ გარიგებას, მნიშვნელოვანია სამართლებრივი სიცხადისათვის, რაც, თავის მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის გამართულობის და ურღვევობის გარანტია. წარმომადგენლის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობაზე აპელირება, მესამე პირის საზიანოდ, დაცულია ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპითაც. სწორედ, მესამე პირის დაცვის სასარგებლოდ და წარმომადგენლის პასუხისმგებლობის გამორიცხვის საპირისპიროდ მოქმედებს კეთილსინდისიერების უნივერსალური პრინციპი.[27] ამასთან, არამხოლოდ მესამე პირს მოეთხოვება კეთილსინდისიერი იყოს იმ გარემოებების მიმართ, რასაც იგი უკავშირებს გარიგების დადებას, არამედ თავად წარმომადგენელიც ვალდებულია დაიცვას კეთილსინდისიერების პრინციპი.

წარმომადგენლობის ინსტიტუტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბუნებრივია მასთან დაკავშირებით განვითარდა არა ერთი თეორია, რასაც აქტიურად გამოიყენება სასამართლო

---

[21] სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 1-146, 2017, თბილისი, ***ჯორბენაძე ს,*** მუხ. 103, გვ. 594.

[22] ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, სსკ-ის 103-ე მუხლი სახელმძღვანელო ტიპის ნორმაა და მასში გარიგებისმიერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის საფუძვლად „დავალების“ და „მინდობილობის“ მითითება, რწმუნებულების წარმოშობის ერთ-ერთ და არა ერთადერთ საფუძვლად უნდა იქნას მიჩნეული. ***კერესელიძე დ, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები,*** ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, 2009, თბილისი, გვ. 404

[23] სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ***ჯორბენაძე ს,*** მუხ. 103, გვ. 594.

[24] ***პაპიძე,*** „უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენელი და მესამე პირთა დაცვა“, გვ. 16.

[25] ***კერესელიძე,*** კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 404.

[26] ***კერესელიძე,*** კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 406.

[27] ***ერქვანია თ, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით),*** გვ. 36.

პრაქტიკაშიც. ერთ-ერთი მათგანი, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიმდინარე დავისათვის, არის ე.წ. ნაგულისხმევი წარმომადგენლობის დოქტრინა.[28] საქმე ეხება პრეზუმირებულ წარმომადგენლობას, რა დროსაც, ერთი მხრივ, მესამე პირის დაცვის ღირსი ნდობაა, რადგან მას ამგვარი უფლებამოსილება სარწმუნოდ და რეალურად მიაჩნდა, მეორე მხრივ კი, წარმოდგენილი პირის ქმედება, შეექმნა სწორედ იმგვარი გარემოებები, რომლითაც მესამე პირი ვარაუდობს წარმომადგენლობის არსებობას.

უფლებამოსილების ნავარაუდევი/ნაგულისხმევი მინიჭების კონტექსტში მნიშვნელოვანია აშკარა უფლებამოსილების კონცეპტის მიმოხილვა. აშკარა უფლებამოსილება არის იმგვარი უფლებამოსილება, რომელიც უშუალოდ მინიჭებული არ არის, თუმცა წარმოდგენილი პირი კონკლუდენტურად ნებას რთავს წარმომადგენელს, იმოქმედოს მისი სახელით. აღნიშნული დოქტრინის ამოსავალი წერტილია ის, რომ მხოლოდ წარმოდგენილ პირს შეუძლია შექმნას ამგვარი გარემოებები და არა თავად წარმომადგენელს. ასეთ დროს, შესაძლოა უფლებამოსილების მინიჭება ნავარაუდევიც იყოს, ვინაიდან იგი *აღიქმება სტანდარტულ ცხოვრებისეულ სიტუაციად ან წარმოადგენს წარმომადგენლის ჩვეულებრივ ვალდებულებას,* რომელიც მარწმუნებლის მიერაა დანიშნული და *თავისი საქმიანობის ფარგლებში* ასრულებს გარკვეულ მოქმედებებს.[29] შესაძლოა, წარმოდგენილი პირი ზღუდავდეს კიდეც წარმომადგენლის გარკვეულ ქმედებებს, თუმცა იგი არ იყოს აღქმადი და შეცნობადი მესამე პირისათვის და წარმოიქმნას მესამე პირის დაცვის ღირსი ინტერესი. სწორედ, ამგვარი ურთიერთობებიდან განვითარდა აშკარა უფლებამოსილების დოქტრინა.[30] აშკარა უფლებამოსილების ჭრილში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ლეგიტიმური ნდობა/მოლოდინი მესამე პირის მხრიდან წარმომადგენლის მიმართ. აღნიშნულ დოქტრინებს მჭიდრო კავშირი აქვს საჩივრის ფარგლებში განსახილველ შემთხვევასთან, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. გარემოებებით ნაკარნახევი უფლებამოსილების არსებობა განსაკუთრებით აქტუალური სწორედ იურიდიული პირების, კორპორაციების შემთხვევაშია, რადგან მსგავს სუბიექტებთან ურთიერთობაში მხარეს შეიძლება გაუძნელდეს წარმომადგენლის ზუსტი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლების დადგენა.[31] ბუნებრივია, მესამე პირს მოეთხოვება, რომ მისი ქმედებები და ვარაუდი იყოს გონივრული გარემოებებიდან გამომდინარე ნაკარნახევი.

აშკარა უფლებამოსილების გამოძახილი ქართულ კანონმდებლობაში სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლშია მოცემული. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილის მიზანია კეთილსინდისიერი მესამე პირის დაცვა, რომელმაც შექმნილი გარემოებების გამო ივარაუდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა. ტერმინი აშკარა უფლებამოსილება არ გამოიყენება საკანონმდებლო დონეზე, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებებში

---

[28] ***პაპიძე,*** „უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენელი და მესამე პირთა დაცვა“, გვ.30.
[29] იქვე, გვ.26.
[30] იქვე, გვ. 26.
[31] ***ბონელი მ ი, წარმომადგენლობა,*** ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 13, 2011-2012, გვ. 65-66

გაჟღერებულია მისი შინაარსობრივი მხარე,[32] რაც ადასტურებს ქართულ რეალობაში აღნიშნული დოქტრინის გამოყენების შესაძლებლობასა და ფაქტს.

3.2. სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ თანამშრომლის ქმედების შეფასება წარმომადგენლობის ჭრილში

ა) სამსახურებრივი პოზიცია

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ თანამშრომელი (ნ. ბ.) 2014 წლიდან დასაქმებულია სადაზღვევო კომპანიის ბათუმის წარმომადგენლობის უფროსის პოზიციაზე. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულების თანახმად, სხვა ფუნქციებთან ერთად, ნ.ბ-ს ევალებოდა კლიენტების შენარჩუნება, შესაბამის სექტორში კომპანიის არსებული კლიენტურისათვის ახალი სადაზღვევო პროდუქტების შეთავაზება, პოტენციური კლიენტურის მოძიება და კომპანიის მომსახურების შეთავაზება, კლიენტისათვის სადაზღვევო ურთიერთობის გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის დროული მომზადების კოორდინაცია, დაზღვევის ხელშეკრულების დროული მომზადება და კლიენტისათვის გადაცემა ხელმოსაწერად, ანდერაიტინგის განყოფილებასთან სადაზღვევო პირობებისა და ტარიფის შეთანხმება, კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევა სხვადასხვა ტიპის სადაზღვევო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით და ა.შ. გარდა ნ.ბ-ს თანამდებობისა, რომელიც მას დასახელებიდან გამომდინარეც კი აღჭურვავს განსაკუთრებული უფლებებითა და ვალდებულებებით, შრომითი ხელშეკრულების ანალიზიდანაც ჩანს, რომ ბათუმის წარმომადგენლობითი ოფისის კლიენტებთან ურთიერთობა მას ევალებოდა, რაშიც შედიოდა მათთან მოლაპარაკებების წარმოება, შეთავაზებების გაკეთება და საბოლოო ხელშეკრულების მომზადება კომპანიის შესაბამის სტრუქტურებთან შეთანხმებით. აღნიშნული მიდგომა კარგად ჩანს მოპასუხის მიერ წარმოდგენილ მიმოწერაში, რომელიც წარმოებდა ერთი მხრივ, სადაზღვევო კომპანიის სახელით ნ.ბ-ს მიერ, მეორე მხრივ, კი შპს „Caucasian Metals Terminal”-ის დირექტორის, იურისტის და კომპანიის სხვა თანამშრომლების ჩართულობით.[33]

როგორც ზემოთ აღინიშნა, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ აპელირებს, რომ ნ.ბ-ს არ გააჩნდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რაც დამახასიათებელია სამეწარმეო ურთიერთობისათვის და წესრიგდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნულს მოპასუხე ხაზს უსვამს დამატებით წარმოდგენილ კორესპონდენციაშიც.[34] სააგენტოს განმარტებით, ეჭვქვეშ არ დგება ის მოცემულობა, რომ ნ.ბ. არ წარმოადგენდა რეგისტრირებულ დირექტორს და მას არ ჰქონდა კომპანიის მიერ დადებულ გარიგებაზე ხელის მოწერის უფლებამოსილება და სხვა მსგავსი უფლებები. მართალია, ნ.ბ. არ იყო

[32] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 24 იანვრის განჩინება ას#ას-203-622-06.
[33] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 4 ივნისი №01/289 წერილი.
[34] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 14 სექტემბრის №01/451 წერილი.

რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში, როგორც კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, თუმცა იგი უფლებამოსილი იყო კომპანია წარმოედგინა მესამე პირებთან, კერძოდ, კლიენტებთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში და ეწარმოებინა მათთან მოლაპარაკებები სხვადასხვა სადაზღვევო პროდუქტთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, მისი სამოქალაქო სამართლებრივი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელია როგორც შრომითი ხელშეკრულება, ასევე მისი ქმედებები და რაც მთავარია, მესამე პირის, კლიენტის მიერ აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობის აღქმა და შეფასება. ნ.ბ-ს კლიენტებთან ურთიერთობის უფლებამოსილება დასტურდება სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ მიერ მოწოდებული კორესპონდენციით,[35] თუმცა, ასევე აღნიშნულია, რომ ნ.ბ არ წარმოადგენდა პიარის ან მარკეტინგის სამსახურის თანამშრომელს, რის საფუძველზეც შეეძლო საზოგადოების ფართო ფენების მიმართ გაეკეთებინა კონკრეტული განცხადებები სადაზღვევო კომპანიის სახელით. ამასთან დაკავშირებით, სააგენტო დასძენს, რომ სადავოდ გამხდარ მიმოწერაში ადგილი არ აქვს საზოგადოების ფართო ფენებისადმი მიმართვას, არამედ საქმე ეხება ერთ კონკრეტულ მომხმარებელს, რომელთანაც სადაზღვევო კომპანიას თანამშრომლობისა და საქმიანი ურთიერთობის არაერთწლიანი ურთიერთობა აკავშირებს, სწორედ ნ.ბ.-ს მეშვეობითა და უშუალო მონაწილობით. სააგენტოს პოზიციით, განსახილველი მუხლის (კანონის მე-11[3] მუხლი) შემადგენლობის გათვალისწინებით, აუცილებელი არაა, რომ ცნობები საჯაროდ იქნეს გავრცელებული, ამდენად, მოპასუხის ზემოთ ხსენებული მითითება სააგენტოს მხრიდან სადავო ქმედების კვალიფიკაციისას არარელევანტურია.

სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კომპანიის ყველა თანამშრომლისათვის სამეწარმეო რეესტრისმიერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება სცდება გონიერი ბიზნესის ქცევას და მსგავსი პრაქტიკა ფაქტობრივად არ არსებობს, თუმცა, კომპანიები სწორედაც რომ ფართო მასებთან და კლიენტებთან ურთიერთობისათვის წარმოდგენილნი არიან საკუთარი თანამშრომლებით, რისთვისაც განსაკუთრებული ნებართვა და თანხმობა არაა საჭირო, თუკი კლიენტებთან ურთიერთობა კონკრეტული თანამშრომლის პირდაპირი მოვალეობაა და ამასთან, წარმოდგენილმა პირმა თავადვე შექმნა აღნიშნულის ვარაუდის საფუძველი. კერძოდ, წარმოდგენილმა პირმა, აღნიშნულ შემთხვევაში, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგმა“, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად, ნ.ბ-ს მისცა შესაბამისი ელექტრონული ფოსტა, სადაც იკითხება კონკრეტული პირის თანამდებობა, ხელშეკრულებიდან გამომდინარე აღჭურვა კლიენტებთან მოლაპარაკების წარმოების შესაძლებლობით და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა ნ.ბ. სწორედაც რომ სამსახურებრივი საქმიანობის განსახორციელებლად ჰქონდა მინიჭებული და არა პირადი ხასიათის კომუნიკაციის საწარმოებლად.

[35] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 14 სექტემბრის №01/451 წერილი.

აღნიშნულთან მიმართებით საყურადღებოა მოპასუხის პოზიცია, რომ გამომდინარე ნ.ბ-სა და მომხმარებელი კომპანიის დირექტორს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობიდან, მათ შორის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით ნაწარმოები მიმოწერა „ატარებდა ცალსახად მეგობრულ ხასიათს, (მიუხედავად იმისა, რომ მიმოწერით კვეთა იყო საქმიან საკითხებზეც).“[36] სააგენტო ვერ გაიზიარებს აღნიშნულ პოზიციას გამომდინარე იქიდან, რომ თავად მოპასუხის მიერ მოწოდებულ მიმოწერაში,[37] რომელშიც მონაწილეობენ ერთი მხრივ - ნ.ბ, ხოლო მეორეს მხრივ კლიენტი კომპანიის თანამშრომლები (ამასთან, არა მხოლოდ კლიენტი კომპანიის დირექტორი, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ნ.ბ.-ს), ხდებოდა კონკრეტულ სადაზღვევო პროდუქტთან დაკავშირებული დეტალების შეთანხმება და დაზუსტება. ცალკეული მიმოწერები სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ისეთი როგორიცაა მომხმარებელი კომპანიის თანამშრომლების ჯანმრთელობისა თუ სხვა ტიპის სადაზღვევო პაკეტები, არ წარმოადგენდა ამ კონკრეტული სადავო მიმოწერის დომინანტ ხაზს, რაც გამორიცხავს მთლიანი მიმოწერის „ცალსახად მეგობრულ ხასიათს“. ამასთან, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, მიმოწერა წარმოადგენდა კონკრეტული ქონების დაზღვევის მიზნით წარმოებულ მოლაპარაკებას სადაზღვევო კომპანიის შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირსა და პოტენციურ მომხმარებელს შორის და ნ.ბ.-ს ქმედებები ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ პოტენციურ მომხმარებელს, ალდაგთან ხელშეკრულების გაფორმების გადაწყვეტილება მიეღო.

ბ) კლიენტებთან (მომხმარებლებთან) ურთიერთობა

საჩივარში აღწერილ შემთხვევაში, მოკვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ ნ.ბ. მოქმედებდა იმგვარად, რომ მესამე ობიექტური დამკვირვებლის თვალთახედვიდან გამომდინარე, იგი ავლენდა გარიგების დადების ნებას, რაც დასტურდება მის მიერ შპს „Caucasian Metals Terminal”-თან ნაწარმოები მიმოწერით. კერძოდ, მიმოწერით დგინდებოდა დასაზღვევი ქონების ზუსტი ჩამონათვალი, ტარიფები, თითოეული დეტალი, რაც სამომავლოდ პოტენციურ ხელშეკრულებაში უნდა ასახულიყო. ასევე მნიშვნელოვანია, რომ იგი თავად ათანხმებდა სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ სხვა დეპარტამენტების წარმომადგენლებთან ხელშეკრულების არსებით პირობებს (მაგ: ფასი) და ამ ინფორმაციას გადასცემდა მომხმარებელს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივანის მიერ წარმოდგენილი მიმოწერის (ნ.ბ-ს მიერ კომპანია უნისონის შეფასება) განხილვა განცალკავებულად, კონტექსტის გარეშე არ არის მიზანშეწონილი, რადგან კონკრეტული კორესპონდენცია ნაწილია იმ მოლაპარაკებებისა, რაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოებდა მოპასუხესა და კლიენტს შორის ქონების დაზღვევის საკითხთან

[36] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 14 სექტემბრის №01/451 წერილი.

[37] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 4 ივნისის №01/289 წერილით წარმოდგენილი დანართები.

დაკავშირებით, რის საფუძველზეც, საბოლოოდ, მოხდა კიდეც დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება.

მოპასუხე ასევე უთითებს[38] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლზე, რომლის პირველ ნაწილშიც აღნიშნულია, რომ თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე. აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანია ორი გარემოების გამოკვეთა. პირველი რიგში, ის, რომ გარიგება, რომელიც იყო ნ.ბ-სა და მომხმარებელს შორის მიმოწერის საგანი, დაიდო ალდაგის გენერალური დირექტორის თანხმობით, რისი დამადასტურებელიცაა მის მიერ ხელმოწერილი დაზღვევის პოლისი. ასევე ხაზგასასმელია, რომ არც მომჩივანი და არც თავად მოპასუხე სადავოდ არ ხდის მიმოწერის თანმდევად დადებული ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხს, შესაბამისად, ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხი არ წარმოადგენს სააგენტოში მიმდინარე მოკვლევის დავის საგანს. მეორე მხრივ, სააგენტო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ სააგენტო არ განიხილავს ნ.ბ-ს უფლებამოსილებას სადაზღვევო კომპანიის რეგისტრირებული დირექტორების უფლებამოსილებების პარალელურად და ერთ სიბრტყეში/კონტექსტში, არამედ გადაწყვეტილებაში საუბარია ნ.ბ-ს, როგორც მოპასუხე ეკონომიკური აგენტის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, კლიენტებთან მოლაპარაკების წარმართვის მიმართულებით.

აშკარა უფლებამოსილების დოქტრინის კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ წარმოდგენილი პირის მიერ იყო შექმნილი შესაბამისი გარემოებები, რაც მესამე პირის გადმოსახედიდან ობიექტურ გარემოებებად შესაძლოა იყოს მიჩნეული. კერძოდ, ნ.ბ. დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე, მხოლოდ თავად ურთიერთობდა მითითებულ კლიენტთან და ათანხმებდა ყველა დეტალსა და გარემოებას. უშუალოდ გარიგების დადება კლიენტთან კი სწორედ წარმოდგენილი პირის, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ ნება იყო და ნ.ბ-ს, როგორც კერძო პირს, ვერანაირი ინტერესი ვერ ექნებოდა, პირადი მიზნებისათვის ეწარმოებინა მოლაპარაკებები ქონების თუ თბომავლის დაზღვევასთან დაკავშირებით არა მხოლოდ წარმოდგენილ კლიენტთან - შპს „Caucasian Metals Terminal”-თან, არამედ ნებისმიერ სხვა მესამე პირთან, რადგან ნ.ბ, ისევე როგორც კომპანიის ნებისმიერი სხვა თანამშრომელი, მოკლებულია შესაძლებლობას, სადაზღვევო კომპანიის მსგავსი მომსახურება შესთავაზოს კლიენტებს და იგი სწორედ კომპანიის ინტერესიდან გამომდინარე ამყარებს ურთიერთობას ნებისმიერ კლიენტთან. შესაბამისად, ნ.ბ. კლიენტთან აწარმოებდა მოლაპარაკებას სწორედ წარმოდგენილი პირის ნების შესაბამისად და მისი სახელით გარიგების დასადებად, რაც სხვა გარემოებებთან ერთად, წარმოადგენდა კიდეც მის ჩვეულ სამუშაო რუტინას. მოპასუხის პოზიციით, მესამე პირს, ამ შემთხვევაში მომხმარებელს, მართალია ყველა შემთხვევაში არ ეკისრება ვალდებულება, ყოველ ჯერზე ამოწმოს კონკრეტული პირის უფლებამოსილების საკითხები, თუმცა ეკისრება მსგავსი შემოწმების ვალდებულება, თუ უფლებამოსილებასთან

[38] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 14 სექტემბრის №01/451 წერილი.

დაკავშირებით რაიმე „საეჭვოა“ ან „უჩვეულო“ გარიგების დადებასთან გვაქვს საქმე. აღსანიშნავია, რომ განსახილველ შემთხვევაში გამოირიცხება როგორც „საეჭვოობა“, ასევე „უჩვეულობის“ გარემოება. „საეჭვო“ წარმომადგენლობით უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკითხი ვერ დადგებოდა დღის წესრიგში, რადგან მსგავსი გარიგების დადების მოსამზადებელი სამუშაოები ამ კონკრეტულ კლიენტთან ნ.ბ-ს წლების მანძილზე არაერთხელ უწარმოებია, შესაბამისად, მომხმარებელს საეჭვოობის შესახებ ვარაუდი ვერ გაუჩნდებოდა. რაც შეეხება, „უჩვეულო“ გარიგებას, მსგავსი მოლაპარაკებების წარმოება პირდაპირ შედიოდა ნ.ბ-ს უფლებამოსილებებში, ის ათანხმებდა დაზღვევის კონკრეტული პაკეტის პირობებს სადაზღვევო კომპანიის სხვა თანამშრომლებთან და გადასცემდა მომხმარებელს. ნ.ბ-ს ქმედება „უჩვეულო“ იქნებოდა, თუ ის, როგორც ფიზიკური პირი, რომელიმე მომხმარებელს შესთავაზებდა სადაზღვევო კომპანიასთან გათანაბრებული სერვისის გაწევას, რაც თავის მხრივ შეუძლებელია მთელი რიგი საკანონმდებლო რეგულაციებიდან გამომდინარე, ან თუ ნ.ბ. მის მიერ ხელმოწერილ პოლისს შესთავაზებდა მომხმარებელს. კონკრეტულად იმ ქმედების ფარგლებში კი, როდესაც ნ.ბ. იმ სადაზღვევო კომპანიის სერვისს სთავაზობდა მომხმარებელს, სადაც მრავალი წელი რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობდა, „უჩვეულობის“ გარემოება გამოირიცხება.

მესამე პირის მოლოდინებისა და ინტერესის შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანია განვიხილოთ, თუ რა ფორმით მოხდა კლიენტთან კომუნიკაცია. საჩივარში წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ მოპასუხის მიერ მეგობრულ მიმოწერად დახასიათებული მიმოწერა ხორციელდებოდა სამსახურებრივი მეილით, სადაც გარდა თანამშრომლის სახელისა და გვარისა, აღნიშნული იყო პირის თანამდებობაც. ამასთან, მოპასუხის განცხადებით, ელექტრონული ფორმით კლიენტებთან კომუნიკაცია მიღებულია კომპანიაში კომუნიკაციის სხვა სახეებთან ერთად.[39] რადგან აღნიშნული პირი იკავებდა ბათუმის წარმომადგენლობის უფროსის თანამდებობას, ბუნებრივია, ეს ფაქტორი ნდობით განაწყობდა კლიენტს მის მიმართ, იმ კუთხით, რომ კონკრეტულ ინფორმაციასა თუ შეთავაზებას აღიქვამდა, როგორც სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ მიერ გამოხატულ ნებას და არა კონკრეტული კერძო პირის შემოთავაზებას. ამასთან, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ წესდებით, აკრძალული იყო სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით კერძო მიმოწერის წარმოება, თუმცა, აღნიშნული სცდება სააგენტოს შეფასების ფარგლებს და უნდა დარეგულირდეს წარმოდგენილი პირისა და წარმომადგენლის შიდა სამართლებრივი ურთიერთობით, რასაც გავლენა არ აქვს და ვერ ექნება მესამე პირის დაცვის ღირს ინტერესსა და სააგენტოს მხრიდან კანონის მე-11[3] მუხლის შეფასებაზე. აღსანიშნავია, რომ ელექტრონულ ფოსტას, როგორც კლიენტებთან კომუნიკაციის საშუალებას, სხვა საშუალებებთან ერთად, აქტიურად იყენებს როგორც მომჩივანი, ასევე მოპასუხე.[40] მნიშვნელოვანია ასევე, როგორ აღიქმებოდა თავად მომხმარებლის გადმოსახედიდან ნ.ბ-ს

[39] სსიპ კონკურენციის სააგენტო ახსნა-განმარტების სხდომის ოქმი №2, 4/08/2020.
[40] სსიპ კონკურენციის სააგენტო ახსნა-განმარტების სხდომის ოქმი №2, 4/08/2020.

მიმოწერა. შპს „Caucasian Metals Terminal“-ის დირექტორის განცხადებით,[41] მას და მის კომპანიას სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგთან“ წარმოებული პარტნიორული ურთიერთობის მთელი შვიდი წლის განმავლობაში, უშუალო და პირდაპირი კომუნიკაციის გზით, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ ნ.ბ-სთან, როგორც ალდაგის წარმომადგენელთან, შესაბამისად, ნ.ბ. იყო მათი და სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ დამაკავშირებელი რგოლი, ამიტომ ნ.ბ-ს თითოეული შეთავაზება აღიქმებოდა მოპასუხე კომპანიის პოზიციად. მომხმარებელი აზუსტებს, რომ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ სხვა თანამშრომლებთან ურთიერთობა არ ჰქონია, წლების განმავლობაში თითოეული პოლისის მომზადება ხდებოდა სწორედ ნ.ბ-ს გავლით და მას არ სჭირდებოდა ნ.ბ-ს მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორის გადამოწმება კომპანიის სხვა წარმომადგენლებთან, რადგან ჰქონდა შესაბამისი ნდობა, რომ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ სახელით მას ესაუბრებოდა უფლებამოსილი პირი.

მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ დამატებით წარმოდგენილ პოზიციაში[42] თანდართულია ელექტრონული მიმოწერის ასლები შპს „Caucasian Metals Terminal“-ის წარმომადგენელსა და სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ სხვა თანამშრომლებთან (არა ნ.ბ-სთან). აღნიშნული მიმოწერის წარმოდგენით მოპასუხეს სავარაუდოდ სურდა იმ გარემოებაზე ხაზგასმა, რომ კონკრეტულ მომხმარებელს ნ.ბ-ს გარდა სადაზღვევო კომპანიის სხვა თანამშრომლებთანაც ჰქონდა ურთიერთობა. წარმოდგენილი მიმოწერის ნაწილი ეხება შპს „Caucasian Metals Terminal“-ის მიერ პოლისით განსაზღვრული ტრანშის ჩარიცხვის საკითხს, ნაწილი კი დათარიღებულია 2019 წლის თებერვლით, შესაბამისად, ეხება წინა წლის დაზღვევას. სააგენტო არ ხდის სადაოდ, რომ შპს „Caucasian Metals Terminal”-ს შესაძლოა სხვა საკითხებზე ჰქონოდა მიმოწერა კომპანია ალდაგის სხვა თანამშრომლებთანაც, თუმცა, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ფაქტია, რომ შპს „Caucasian Metals Terminal“-ი ენდობოდა ნ.ბ-ს და სარწმუნოდ მიაჩნდა მის მიერ შეთავაზებული სადაზღვევო პირობები. მართალია, მომხმარებელი, შპს „Caucasian Metals Terminal“-ის დირექტორი ახსნა-განმარტების დროს აღნიშნავს, რომ სადავოდ გამხდარი მიმოწერა უფრო მეტად ატარებდა მეგობრულ ხასიათს, ვიდრე საქმიანს, თუმცა, ამავდროულად ადასტურებს, რომ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის გამოყენება აღიქმება სამსახურებრივი საქმის შემადგენელ ნაწილად. სააგენტოს პოზიციით, ერთი მიმოწერის ფარგლებში არ არის მიზანშეწონილი ნაწილის საქმიან, ხოლო ნაწილის კი მეგობრულ მიმოწერად დაკვალიფიცირება, რადგან აღნიშნული საფუძველს გამოაცლის მთლიანად წარმომადგენლობის, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტის გაგებას. ბუნებრივია, კომპანიის წარმომადგენელსა და პოტენციურ მომხმარებელს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა დამატებით აღჭურვავს კონკრეტულ თანამშრომელს განსაკუთრებული ვალდებულებებით, არ მოახდინოს სამსახურებრივი, საქმიანი და

[41] მოკვლევის ჯგუფის წევრის 2020 წლის 29 ივნისის ახსნა-განმარტებითი ბარათი №01/324 (თან ერთვის ახსნა-განმარტებითი სხდომის ჩანაწერი).

[42] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 14 სექტემბრის №01/451 წერილი.

მეგობრული ურთიერთობების აღრევა, რაც საბოლოოდ დააზარალებს არა მარტო წარმოდგენილ პირს, არამედ სხვა სუბიექტებსაც.

დამატებით წარმოდგენილ პოზიციაში (რასაც ერთვის შპს „Caucasian Metals Terminal"-ის დირექტორის წერილები) სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი" არაერთხელ უსვამს ხაზს, რომ მომხმარებელს სრული წარმოდგენა ჰქონდა იმაზე, რომ ნ.ბ. იყო ე.წ. „შუამავალი პირი" სადაზღვევო კომპანიასა და მომხმარებელს შორის და იცოდა ნ.ბ-ს შეზღუდული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ. სააგენტო აღნიშნულ გარემოებას ეჭვქვეშ არ აყენებს, გამომდინარე იქიდან, რომ მომხმარებელი კომპანიის დირექტორს საკუთარი კორპორატიული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე უნდა სცოდნოდა და იცოდა კიდეც, თუ ვინ იყო ალდაგის დირექტორი, ვინ აწერდა ხელს ხელშეკრულებებსა და დაზღვევის პოლისებს. თუმცა, ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე, წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებები წარმოებდა არა გენერალურ დირექტორსა და მომხმარებელს შორის, არამედ კონკრეტული რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელსა და მომხმარებელს შორის, ისევ და ისევ ჩვეული ბიზნეს სქემებიდან და საქმიანობის წარმართვის თავისებურებებიდან გამომდინარე. შეუძლებელია, სადაზღვევო კომპანიის ყველა მომხმარებელს ჰქონოდა მოლოდინი, რომ თითოეულ მათგანთან სამომავლო ხელშეკრულების ყველა დეტალის შეთანხმებას გენერალური დირექტორი მიჰყოფდა ხელს. სწორედ უფლებამოსილებების დელეგირებიდან გამომდინარე ჰქონდა ნ.ბ-ს უფლება, კლიენტებთან ეწარმოებინა მოლაპარაკებები. ბუნებრივია, მოხმმარებელს ვერ ექნებოდა მოლოდინი იმის შესახებ, რომ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგში" ნებისმიერ სადაზღვევო პაკეტთან დაკავშირებულ თითოეულ ნიუანსს წყვეტდა უშუალოდ ნ.ბ.

ნ.ბ-ს სამსახურებრივი უფლებამოსილებების შესაფასებლად მეტად მნიშვნელოვანია, ზემოთ მოყვანილი დოქტრინების გამოყენება, რომლებიც ერთგვარ დამხმარე მექანიზმს წარმოადგენენ წარმომადგენლობის ინსტიტუტის უკეთ გასაგებად და მისი რეალური შინაარსის გასაცნობად. კერძოდ, საქმე ეხება ე.წ. ნაგულისხმევ და აშკარა წარმომადგენლობებს. მესამე ობიექტური დამკვირვებლისათვის (რასაც პირდაპირ ადასტურებს მომხმარებელი), ნ.ბ-ს ქმედებები აღიქმებოდა კომპანიის ქმედებებად და ეჭვს არ ბადებდა 7 წლიანი საქმიანი ურთიერთობის მანძილზე. შესაბამისად, ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, კითხვის ნიშანი მომხმარებლის მხრიდან იმასთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა უფლება ნ.ბ-ს ემოქმედა სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის" სახელით, არ დასმულა და ლოგიკურიც არ იქნებოდა მისი დასმა.

იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო დაეყრდნობა მხოლოდ იმ მოცემულობას, რომ ნ.ბ. არ იყო კომპანიის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებებით აღჭურვილი პირი სამეწარმეო სამართლის გადმოსახედიდან, მივიღებთ მოცემულობას, რომ ეჭვქვეშ უნდა დადგეს ნ.ბ-ს მიერ ნებისმერ კლიენტთან გამართული თითოეული მოლაპარაკება, გაკეთებული შეთავაზებები და ამის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებები. ეს კი თავისთავად, ვერ გახდება დავის საგანი, გამომდინარე იქიდან, რომ

ალდაგმა, როგორც დამსაქმებელმა, ნ.ბ-ს მიანიჭა მსგავსი ქმედებების განხორციელების უფლებამოსილება. სააგენტო სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ხელის მოწერის უფლებამოსილება გააჩნდა მხოლოდ კომპანიის დირექტორს, თუმცა ეს მოცემულობა სადავო ქმედებების შეფასებაში არ ცვლის არსებით გარემოებებს.

გარდა ამისა, თუ კლიენტებთან მოლაპარაკებების მწარმოებელს არ განვიხილავთ როგორც კომპანიის სახელით მოლაპარაკე პირს, მივიღებთ მოცემულობას, რომ „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11[3] მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის დარღვევა შეეძლებათ მხოლოდ და მხოლოდ რეგისტრირებულ დირექტორებს. აღნიშნული განმარტება არ იქნება გონივრული როგორც მომხმარებლის, ასევე კონკურენტის ინტერესების დაცვის გადმოსახედიდან და წაახალისებს კომპანიის სხვა წარმომადგენლების (რეგისტრირებული დირექტორებისა და პროკურისტების გარდა) მეშვეობით ხსენებული ნორმის დარღვევის ფაქტებს, როგორც კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობისგან თავის არიდების ერთ-ერთი საშუალება.

გამომდინარე იქედან, რომ ნ.ბ. ნამდვილად მოქმედებდა მისთვის მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში და მესამე პირების გადმოსახედიდანაც, იგი აღიქმებოდა როგორც უფლებამოსილი პირი, მისი ქმედებები შეერაცხება კომპანიას, რადგან სწორედ წარმოდგენილი პირის პასუხისმგებლობა არის წარმომადგენლობითი ინსტიტუტის მთავარი დამახასიათებელი პირობა. ამასთან, თავად წარმოდგენილ პირსა და წარმომადგენელს შორის ურთიერთობა (აღნიშნულ შემთხვევაში ნ.ბ-სათვის გამოცხადებული საყვედური) გავლენას ვერ ახდენს წარმომადგენლის მიერ განხორციელებულ ქმედებებსა და გადადგმულ ნაბიჯებზე, რადგან მესამე პირის ინტერესი უკეთესი დაცვის ღირსია. თავის მხრივ, ბუნებრივია წარმოდგენილმა პირმა და წარმომადგენელმა ცალკე ურთიერთობის ფარგლებში უნდა დაარეგულირონ მათ შორის არსებული ურთიერთობის ნიუანსები.

ნაწილი 4. შპს "Caucasian Metals Terminal" როგორც მომხმარებელი

მოკვლევის ფარგლებში, მოპასუხე აღნიშნავს, რომ მრავალწლიანი თანამშრომლობის შედეგად, მისთვის ცნობილი გახდა, რომ დაზღვევის სფეროში ხელშეკრულების გაფორმებაზე გადაწყვეტილებას იღებს შპს „Caucasian Metals Terminal"-ის დამფუძნებელი კომპანია C.I.I. Clay Industries International Limited,[43] რომელსაც ეგზავნება მხოლოდ მზღვეველი ორგანიზაციების შემოთავაზება ტარიფების მითითებით, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის საიტზე განთავსებული მონაცემები (ფინანსური სიმყარის საილუსტრაციოდ) და დაზღვევის პირობების ძირითადი დაფარვები/გამონაკლისები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

[43] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის" 2020 წლის 10 მარტის №01/183 წერილი.

შესაბამისად, მხოლოდ აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შპს „Caucasian Metals Terminal”-ისგან დამოუკიდებლად, დამფუძნებელი კომპანია C.I.I. Clay Industries International Limited იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი სადაზღვევო კომპანიის სასარგებლოდ უნდა შეაჩეროს არჩევანი.

მომჩივანის განმარტებით კი, ის ფაქტი, რომ კონკრეტული მზღვეველის შერჩევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს შპს „Caucasian Metals Terminal“-ის დამფუძნებელი კომპანია, ვერ შეცვლის იმ გარემოებას, რომ სადაზღვევო პროდუქტის მომხმარებელია ის იურიდიული პირი, რომლის ქონების დაზღვევაც უნდა განხორციელდეს და რომელიც გამოდის ხელშეკრულების მხარედ. მომჩივანი მიუთითებს, რომ ნებისმიერ კომპანიას, მით უფრო უცხოურ დამფუძნებელ კომპანიას, ძალიან ხშირად, გადაწყვეტილების მიღების არასტანდარტული და რთული სქემები აქვთ, თუმცა კომპანიის შიდა სტრუქტურა - თუ როგორ მიიღება გადაწყვეტილება - ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვინაიდან, საბოლოო ჯამში, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ხდება შპს „Caucasian Metals Terminal“-ის მიერ, ისაა ამ გადაწყვეტილების მიმღები და რეალობაში გამტარებელი, აღმასრულებელიც და შესაბამისად, პასუხისმგებელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ წარმოდგენილ კორესპონდენციაში[44] უთითებს, რომ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC დირექტივა მომხმარებელს განმარტავს, როგორც „ნებისმიერ ფიზიკურ პირს“, შესაბამისად, შპს „Caucasian Metals Terminal“-ი, როგორც იურიდიული პირი ვერ იქნება მომხმარებელი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნებისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტო განმარტავს, რომ კონკრეტული დირექტივა ეხება შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის სპეციფიურ ასპექტებს, რაც მომხმარებლად, დირექტივის მიზნებისათვის, ნამდვილად აიდენტიფიცირებს მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ პირს. აღნიშნული დირექტივა მოიხსენიება ფიზიკურ პირ მომხმარებელზე ორიენტირებულ დირექტივად (ე.წ. B2C – Business to Consumer). B2C დირექტივის გვერდით ყოველთვის მოიხსენიება ე.წ. B2B (Business to Business) დირექტივა, რომელიც ეხება ბიზნესის წარმომადგენლებს შორის შეცდომაში შემყვანი და შედარებითი რეკლამის რეგულირებას. აღნიშნული 2006/114/EC დირექტივის სუბიექტები კი სწორედ ბიზნესის წარმომადგენლები არიან. თუმცა, მიუხედავად დირექტივების რეგულირების სფეროსი, ისინი არ წარმოადგენენ მბოჭავი სამართლებრივი ძალის მქონე იურიდიულ დოკუმენტებს საქართველოსათვის და კონკურენციის სააგენტო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია უპირველეს ყოვლისა იხელმძღვანელოს საკუთარი კანონითა თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

თავის მხრივ, სააგენტოს მიერ აღსასრულებელი და მბოჭავი სპეციალური კანონმდებლობა, კერძოდ, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-3

[44] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 10 მარტის №01/183 წერილი.

ბრძანების მეორე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მომხმარებლის ცნებას, რომელიც წარმოადგენს პირს, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს პროდუქციას/მომსახურებას. შესაბამისად, კონკურენციის კანონმდებლობა მომხმარებლად მიიჩნევს არა მხოლოდ ფიზიკურ პირს, ასევე, იურიდიულ პირსაც, რომლის სასარგებლოდაც ხდება პროდუქციის ან მომსახურების შეძენა და რომელიც, სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის მხარედ.

მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, მხარეთა მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ თბომავლისა და ქონების დაზღვევის ხელშეკრულების მოლაპარაკების პროცესში სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგთან“ ჩართული იყო უშუალოდ შპს „Caucasian Metals Terminal”-ის წარმომადგენლობა. სწორედ ამ პირებთან ხდებოდა ხელშეკრულების ისეთ არსებით პირობებზე მსჯელობა, როგორიცაა ფრანშიზა, დაზღვევის კვოტა, საბალანსე ღირებულება, მესამე პირებისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევის კვოტა და ა.შ. მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა შპს „Caucasian Metals Terminal”-ს კონსულტაციები C.I.I. Clay Industries International Limited-თან და ვინ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება მზღვეველის შერჩევაზე, ფაქტია, რომ საბოლოოდ, სამართლებრივი ურთიერთობის მხარედ გამოდის მხოლოდ და მხოლოდ შპს „Caucasian Metals Terminal” და სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებელიც სწორედ ის ხდება. როგორც საქმის მასალებიდან ნათლად ჩანს, ხელშეკრულებაც გაფორმდა სწორედ შპს „Caucasian Metals Terminal”-თან და ქონების დაზღვევის პოლისიც გაიცა შპს “Caucasian Metals Terminal”-ის სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, მიმდინარე საქმის მოკვლევის ფარგლებში მომხმარებლის სტატუსით სარგებლობს სწორედ შპს „Caucasian Metals Terminal”-ი.

მომხმარებლის ინტერესთა დაცვის კუთხით, მნიშვნელოვანია, აქცენტი გაკეთდეს იმ გარემოებაზე, კონკრეტული ქმედების არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტად კვალიფიკაციისათვის აქვს თუ არა მნიშვნელობა სადავო მიმოწერის განხორციელების შედეგად დამდგარ შედეგს, ანუ იქონია თუ არა ნ.ბ-ს მხრიდან გავრცელებულმა ცნობებმა მომხმარებლის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენა. როგორც სააგენტოსათვის მოწოდებულ კორესპონდენციაში შპს „Caucasian Metals Terminal”-ი აღნიშნავს, მათ გადაწყვეტილებაზე სადავო მიმოწერას გავლენა არ მოუხდენია.[45] თუმცა, მომჩივანის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ მანამ, სანამ უნისონს ხელში ჩაუვარდებოდა სადავო მიმოწერა, მომხმარებლის მიერ განხორციელდა ნ.ბ-ს მხრიდან სადავო მიმოწერის ფარგლებში კომპანია უნისონის მიმართ გამოთქმული კონკრეტული ცნობების გადამოწმება. კერძოდ, მოხდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შავ სიაში კომპანიის დარეგისტრირებასთან დაკავშირებით საკითხის დაზუსტება, რასაც მოჰყვა უნისონის

[45] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 10 მარტის №01/183 წერილის დანართით წარმოდგენილი შპს „Caucasian Metals Terminal”-ის წერილი.

მხრიდან მომხმარებლისათვის შესაბამისი გარემოებების დამადასტურებელი მასალების მიწოდება.[46]

როგორც მომხმარებელი, მოკვლევის ბოლო ეტაპზე, კერძოდ, სააგენტოს მიერ მოპასუხე მხარისათვის გადაწყვეტილების პროექტის გაგზავნის შემდგომ, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ ინიციატივით დაწყებულ და განხორციელებულ კორესპონდენციაში აცხადებს, მან მოითხოვა მხოლოდ და მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის გადამოწმება მომჩივანისაგან, მხოლოდ ინფორმირებულობის კუთხით. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ ინფორმაციის გადამოწმების მომენტში უკვე აღარ იმყოფებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შავ სიაში, შესაბამისად ეს ინფორმაცია აღარ იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი. ამასთან, მომჩივანის მიერ განხორციელდა არა მხოლოდ შავ სიასთან დაკავშირებული ცნობების ახსნა-განმარტება, არამედ კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებების მიწოდება მომხმარებლისათვის, რაც, ასევე არ იყო საჯარო წყაროებიდან ხელმისაწვდომი. შპს „Caucasian Metals Terminal”-ის მიერ მოკვლევის ბოლო ეტაპზე გაკეთებულ განცხადებასთან მიმართებით საგულისხმოა კომპანიის დირექტორის მხრიდან სააგენტოსათვის მიცემულ ახსნა-განმარტებით სხდომაზე აღნიშული პოზიცია, რომ ინფორმაციის გადამოწმება მოხდა როგორც საკუთარი ინფორმირებულობის გამო, ასევე სამომავლო ურთიერთობისათვის.[47] ამასთან, მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ თავად მომხმარებელი კომპანია უნისონისათვის მიწერილ წერილში, მათსა და ნ.ბ-ს შორის წარმოებულ მიმოწერას აკვალიფიცირებს როგორც „საქმიან თუ კოლეგიალურ“ მიმოწერას.[48]

კონკურენციის სააგენტოს შეფასების საგანი გახლდათ, შეიცავდა თუ არა მტკიცებულების სახით წარმოდგენილი მიმოწერა ისეთ დეტალებს, რომელსაც გააჩნდა პოტენციური შესაძლებლობა იმისა, რომ შეელახა საქმიანი ეთიკის ნორმები, ასევე კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესები და წარმოადგენდა თუ არა მოპასუხე ეკონომიკური აგენტის ეს ქმედება, კონკურენტის რეპუტაციის შელახვას, მის უსაფუძვლო კრიტიკასა და დისკრედიტაციას. როგორც უკვე აღინიშნა, მე-11[3] მუხლის „გ“ ქვეპუპუნქტის შემადგენლობა არ ითვალისწინებს ფაქტობრივად დამდგარი შედეგის შეფასებას და ამის საფუძველზე დარღვევის კვალიფიკაციას. მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში სააგენტოს არ უმსჯელია ზიანის ოდენობაზე, ან ზოგადად, იმაზე, დადგა თუ არა განსახილველი ქმედების შედეგად ზიანი. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მე-11[3] მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტის შეფასების წინაპირობას არ წარმოადგენს კონკრეტული და უშუალო ზიანის არსებობა. მიუხედავად ამისა, სააგენტომ გამოიკვლია მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, თუ რა ქმედებები მოჰყვა კლიენტის მხრიდან პოტენციურ კონტრაჰენტზე კონკურენტი კომპანიის მიერ გავრცელებულ ცნობებს, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოეპოვებინა არგუმენტები დაცვის ღირსი ინტერესის განსასაზღვრად.

---

[46] სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ 2020 წლის 4 მაისის №01/249 წერილის დანართი.

[47] მოკვლევის ჯგუფის წევრის 2020 წლის 29 ივნისის ახსნა-განმარტებითი ბარათი №01/324 (თან ერთვის ახსნა-განმარტებითი სხდომის ჩანაწერი).

[48] სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ 2020 წლის 6 აგვისტოს №01/398 წერილი.

მომხმარებლისათვის პოტენციურად მიყენებული ზიანის გარდა მნიშვნელოვანია მომხმარებლის ინტერესის შელახვის შესაძლო ფაქტის განხილვა. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11[3] მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შეფასებისათვის უტყუარი დადასტურება იმისა, შეილახა თუ არა მომხმარებლის ინტერესი, არ არის გადამწყვეტი მნიშვნელობის. შეფასების საგანია, კონკრეტულ ფაქტს (ამ შემთხვევაში სადავო მიმოწერას) რამდენად ჰქონდა პოტენციური შესაძლებლობა, შეეცვალა მომხმარებლის ქცევა და გავლენა მოეხდინა მის ინტერესზე. აღნიშნული საქმის მოკვლევის პროცესშიც, სააგენტო აფასებს არა დადასტურებულ გარემოებას - შეილახა თუ არა კონკრეტული მომხმარებლის ინტერესი, არამედ იმას, რამდენად გააჩნდა გავრცელებულ ინფორმაციას იმგვარი ხასიათი, რომ გავლენა მოეხდინა მომხმარებლის ინტერესზე. ზოგადი გადმოსახედით, თითოეული მომხმარებლის სურვილი უნდა იყოს, ყოველგვარი ზეწოლისა და გავლენის მოხდენის მცდელობის გარეშე, თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე, რეალური ინფორმაციის პირობებში, შეთავაზებული პროდუქტებიდან აირჩიოს მისთვის სასურველი პროდუქტი ფასზე, ხარისხზე და მისთვის რელევანტურ სხვა გარემოებებზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელი, შპს „Caucasian Metald Terminal“-ი უთითებს,[49] რომ მას ქონების დაზღვევა გადაწყვეტილი ჰქონდა სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგში“, მიმოწერას, რომელიც შეიცავდა კონკურენტ კომპანიაზე არასწორ ინფორმაციას, ჰქონდა იმის პოტენციური შესაძლებლობა, გამოერიცხა კონკურენტი კომპანია მომხმარებლის არჩევანიდან. ეს კი გამორიცხავს გადაწყვეტილების თავისუფალ გარემოში მიღების შესაძლებლობას და ახდენს გავლენას მომხმარებლის ინტერესზე, რამდენადაც მისი არჩევანი მნიშვნელოვნად იზღუდება.

ამდენად, მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, დარღვევა სახეზეა, თუ ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელდა კონკურენტის მიმართ დისკრედიტაციული, რეპუტაციის შემლახველი თუ უსაფუძვლოდ კრიტიკული ცნობების გავრცელება. რაც შეეხება აღნიშნული ქმედების შედეგად დამდგარ ზიანსა და მომხმარებლის ინტერესის ფაქტობრივ შელახვას, კონკურენციის სააგენტოს მხრიდან ქმედების კვალიფიკაციისათვის არ არის გადამწყვეტი მნიშვნელობის და ქმედების შეფასებისათვის საკმარისია მისი დადგომის ალბათობა და შესაძლებლობაც კი.

ნაწილი 5. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად,[50] 2020 წლის 5 მარტს, კომპანიის თანამშრომელ ნ.ბ-ს, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის ბრძანების საფუძველზე, გამოეცხადა წერილობითი საყვედური კომპანიის კორპორატიული სახელმძღვანელოს (შინაგანაწესი) დისციპლინარული

[49] სს „სადაზრვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 14 სექმეტბრის №01/451 წერილით წარმოდგენილი დანართები.
[50] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 10 მარტის №01/183 წერილი

პასუხისმგებლობის თავისა და საქართველოს შრომის კოდექსის მე-13 მუხლის მეორე ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით.

საყვედურის გამოცხადებას საფუძვლად დაედო კომპანიის კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორის 2020 წლის 4 მარტის მოხსენებითი ბარათი. კორპორატიული გაყიდვების დირექტორი ნ.ბ-ს სამსახურებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე არის მისი ზემდგომი პირი.[51] მოხსენებითი ბარათი შეიცავს მეტად საყურადღებო გარემოებებს. კერძოდ, მოხსენების თანახმად, ნ.ბ-მ „..სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, განახორციელა სხვა კომპანიის შესახებ გადაუმოწმებელი და მის პირად მოსაზრებაზე დაფუძნებული ინფორმაციის გაჟღერება, რითაც უხეშად დაარღვია კომპანიის შიდა განაწესი, ეთიკის ნორმები და სამუშაო სტანდარტები..“. როგორც მოხსენებითი ბარათის ტექსტიდან ირკვევა, კომპანია თავად ადასტურებს გარემოებას, რომ თანამშრომელმა გაავრცელა გადაუმოწმებელი ინფორმაცია კონკურენტ ეკონომიკურ აგენტზე, რაც ეწინააღმდეგება კომპანიის მიერ დანერგილ შიდა კორპორატიულ წესებს.

გარდა ზემოთ მოყვანილი გარემოებებისა, რაც განხილულია გადაწყვეტილებაში, ხსენებული მოხსენებითი ბარათიც ადასტურებს, რომ ნ.ბ-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყო გადაუმოწმებელი და არღვევდა ეთიკის ნორმებს. სხვა შემთხვევაში, კომპანია არ ჩათვლიდა საჭიროდ, მისი მრავალი წლის თანამშრომლისათვის გამოეცხადებინა წერილობითი საყვედური პირად საქმეში შეტანით.

აქვე, აღსანიშნავია გარემოება, რომ საყვედურის გამოცხადება მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სააგენტოს მიერ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგისათვის“ გადაგზავნილ იქნა სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ საჩივარი.[52]

თანამშრომლის საქციელის არაეთიკურობა და შიდა ორგანიზაციულ თუ გარე პოლიტიკასთან შეუსაბამობა კიდევ ერთხელ დაადასტურა ახსნა-განმარტებით სხდომაზე სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგმა“.[53] მათი განმარტებით, მსგავსი ქცევა კომპანიისათვის მიუღებელია, არ შეესაბამება მათ ნება-სურვილს და სწორედ ამან გამოიწვია საყვედურის გამოცხადება, თუმცა მოცემული თანამშრომელი ამ დრომდე მუშაობს კომპანიაში. არაეთიკური საქციელის ახსნად კი მოპასუხე კომპანიამ დაასახელა იმ პერიოდისათვის ნ.ბ-ს ჯანმრთელობისა და პირადი პრობლემები, აღნიშნა, რომ მიმოწერა მომხმარებელ კომპანიასთან არსებული მეგობრული ურთიერთობის ფარგლებში მოხდა და ზოგადად, მოლაპარაკებების წარმოების მიზნით ნ.ბ-ს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ალდაგისგან არ ჰქონდა მინიჭებული (აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა მოცემულია გადაწყვეტილების მე-3 თავის მე-3 ნაწილში). მოპასუხე ეკონომიკური აგენტის განცხადებით, კომპანია ცალსახად ემიჯნება კონკურენტი ეკონომიკური აგენტების მიმართ

[51] სს “სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 4 ივნისის №01/289 წერილით წარმოდგენილი დანართები.

[52] კონკურენციის სააგენტოს 2020 წლის 27 თებერვლის №02/253 წერილი; სსიპ კონკურენციის სააგენტო ახსნა-განმარტების სხდომის ოქმი №2, 4/08/2020.

[53] სსიპ კონკურენციის სააგენტო ახსნა-განმარტების სხდომის ოქმი №2, 4/08/2020.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გზით კონკურენციის გაწევას, რაც ასევე ასახულია მათ შინაგანაწესში. აღნიშნული მისასალმებელია, რადგან მეტყველებს კომპანიის მაღალ პასუხისმგებლობაზე, თუმცა შიდა წესების არსებობა არ ათავისუფლებს კომპანიას გარე პასუხისმგებლობისაგან.

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ მიერ გადაწყვეტილების პროექტის გაცნობის შემდგომ წარმოდგენილი პოზიციაში კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ კომპანიას, როგორც საკანონმდებლო მოცემულობიდან გამომდინარე, ასევე ფაქტობრივად არ შეეძლო კონტროლი გაეწია ასეულობით თანამშრომლის მიმოწერებისათვის. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიისათვის მსგავსი ქმედება მიუღებელია, ისინი ცალსახად გაემიჯნენ თანამშრომლის ქმედებას. ასევე, კომპანიასა და ნ.ბ-ს შორის არსებული მრავალწლიანი შრომითი ურთიერთობის მანძილზე პირველად იქნა მსგავსი ფაქტი დაფიქსირებული. მოყვანილი მოცემულობიდან გამომდინარე, არ შეიძლება სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგს“ შეერაცხოს ნ.ბ-ს მიერ განხორციელებული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა და ამავდროულად, მოპასუხე ერთგვარ საფრთხეს ხედავს მსგავსი პრაქტიკის დამკვიდრებაში, რადგან შესაძლოა კონკრეტულმა პირებმა არაკეთილსინდისიერად ისარგებლონ ამ შესაძლებლობით და გარიგების დადების სანაცვლოდ გამოიწვიონ კომპანიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11[3] მუხლის დარღვევა. აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტო განმარტავს - ის, რომ ნ.ბ-ს არც ერთი მსგავსი ქმედება არ ჩაუდენია 7 წლის განმავლობაში, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს მხოლოდ და მხოლოდ შიდა შრომითი ურთიერთობისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის და არა სააგენტოს მხრიდან საკითხის შეფასებისას. სააგენტო როგორც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო, ვალდებულია რეაგირება მოახდინოს თითოეულ ინდივიდუალურ ფაქტზე და დაუშვებელია ფაქტების შესწავლაზე იმ მოტივით უარის თქმა, რომ ის კრებითი არ იყო და მხოლოდ ინდივიდუალურ „გადაცდომას“ წარმოადგენდა.

ნაწილი 6. შესაბამისი ბაზარი

6.1. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები

სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2014 წლის 30 სექტემბერს №30/09-3 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ პროდუქტის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

აღნიშნული მოკვლევის ფარგლებში სააგენტოს მიზანს წარმოადგენს არა ზუსტი პროდუქციული საზღვრების დადგენა, არამედ იმის გამოკვეთა, რამდენად მოქმედებენ მომჩივანი და მოპასუხე ეკონომიკური აგენტები ერთსა და იმავე ბაზარზე და წარმოადგენდნენ თუ არა კონკურენტებს. გამომდინარე იქიდან, რომ სადაზღვევო სექტორი წარმოადგენს ლიცენზირებად საქმიანობას, რომლის საზედამხედველო ფუნქციასაც ასრულებს და შესაბამის ლიცენზიებს გასცემს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, შესაბამისი პროდუქციული ბაზრის განსაზღვრის მიზნებისათვის, სააგენტომ იხელმძღვანელა ზედამხედველი ორგანოს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით, კერძოდ, ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებული საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიების რეესტრით.[54]

აღნიშნულ რეესტრზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ საქართველოში ბოლო მონაცემებით ლიცენზირებულია 18 სადაზღვევო კომპანია. მათ შორისაა, მომჩივანი ეკონომიკური აგენტი სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ და მოპასუხე ეკონომიკური აგენტი სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“.

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა მხოლოდ შემდეგ საქმიანობაზე, ესენია, სიცოცხლის დაზღვევა, დაზღვევა (არა სიცოცხლის) და გადაზღვევა. დაზღვევის ტიპიდან გამომდინარე განსხვავებულია მათთვის დადგენილი სალიცენზიო პირობები, შესაძლოა ერთი კომპანია აკმაყოფილებდეს ყველა პირობას და ეწეოდეს საქმიანობას დაზღვევის სამივე კატეგორიის მიმართულებით, ან სპეციალიზდებოდეს ერთი ან ორი მიმართულებით. არსებული ლიცენზიებიდან სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ ოპერირებს სიცოცხლის დაზღვევის (სალიცენზიო მოწმობის №L009) და არასიცოცხლის დაზღვევის (სალიცენზიო მოწმობის №NL009) ბაზარზე[55], ანალოგიური ლიცენზიები აქვს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგსაც“ - სიცოცხლის (სალიცენზიო მოწმობის №L013) და არასიცოცხლის დაზღვევის (სალიცენზიო მოწმობა №NL015)[56].

როგორც ზემოთ აღინიშნა, „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-11^3 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, არ არის რელევანტური დეტალურად იქნას განხილული შესაბამისი ბაზრის მახასიათებლები. მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რა წარმოადგენს შესაბამის ზოგად ბაზარს და არიან თუ არა მომჩივანი და მოპასუხე ეკონომიკური აგენტების ერთმანეთის კონკურენტები.

მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში შესაფასებელი სადავო მიმოწერა ეხებოდა უძრავი ქონების დაზღვევას, რომელიც, ზემოთ ჩამოთვლილი დაზღვევის ტიპებიდან შედის არასიცოცხლის დაზღვევაში. ამდენად, მოკვლევის მიზნებისათვის, შესაბამის პროდუქციულ ბაზარს წარმოადგენს **დაზღვევის (არა სიცოცხლის) ბაზარი.**

---

[54] http://insurance.gov.ge/Useful-Information.aspx

[55] სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ 2020 წლის 19 აგვისტოს №01/420 წერილი.

[56] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ 2020 წლის 20 აგვისტოს №01/423 წერილი

თავის მხრივ, მომჩივანი და მოპასუხე ეკონომიკური აგენტები არსებული კანონმდებლობის თანახმად, უფლებამოსილნი არიან საქმიანობდნენ ამ მიმართულებით. ამდენად, ისინი **ოპერირებენ ერთსა და იმავე ბაზარზე და წარმოადგენდნენ ერთმანეთის კონკურენტებს.**

6.2. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-10 მუხლის თანახმად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ საქონელი/მომსახურება.

არა სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებას, როგორც მომჩივანი, ასევე მოპასუხე კომპანიები, დაინტერესებულ პირებს სთავაზობენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. შესაბამისად, ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიჩნეულ იქნა საქართველოს მთლიანი ტერიტორია და ბაზრის გეოგრაფიულ ჭრილშიც მომჩივანი და მოპასუხე მიჩნეულ იქნენ ერთმანეთის კონკურენტებად.

6.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო

დაზღვევის (არა სიცოცხლის) ბაზარი არ წარმოადგენს სეზონური ხასიათის ბაზარს და ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში. ამ ბაზარზე არ შეინიშნება რაიმე სახის წყვეტა წელიწადის დროების მიხედვით, შესაბამისად, მას არ გააჩნია რაიმე სახის დროითი ჩარჩო.

ნაწილი 7. მოპასუხის წარმომადგენლის მიერ გავრცელებული ცნობების მიმართება კანონის მე-11³ მუხლთან

იმისათვის, რომ დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ მხრივ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³ მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას, უნდა შეფასდეს, შეესაბამებოდა თუ არა მიმოწერაში მოცემული გარემოებები სიმართლეს და აკმაყოფილებს თუ არა დასახელებული ნორმის შემადგენლობას განხორციელებული ქმედება.

7.1. სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ შავ სიაში რეგისტრაციის გარემოება

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საჩივარში მიუთითებს, რომ მოპასუხის წარმომადგენელი ნ.ბ. შპს „Caucasian Metals Terminal”-თან მიმოწერაში განზრახ ავრცელებს ცრუ ინფორმაციას უნისონის შემოსავლებსა და მოგებაზე, ასევე, ზარალის დასაფარად „ბანკი ქართუსაგან“ სესხის აღების თაობაზე, მას შემდეგ რაც თანხა „კლიენტებისგან ვერ ისესხა“. ამასთან, მომჩივანი განმარტავს, რომ მოპასუხის წარმომადგენელი აშკარა ცრუ ინფორმაციას ავრცელებს შავ სიაში კომპანიის მოწინავე ადგილზე ყოფნასთან დაკავშირებით.

მომჩივანის განმარტებით[57], 2017 წლის 22 დეკემბერს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან“ გაფორმდა დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც უნისონმა სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან სამი თვის განმავლობაში აანაზღაურა რამდენიმე ასეული ათასი ლარის ზარალი. ხელშეკრულების მოქმედების მეოთხე თვის თავზე შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ არ იქნა გადახდილი სადაზღვევო პრემიის არც ერთი თეთრი მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, სს „სადაზღვევო კომპანია უნისონმა“ შეწყვიტა დაზღვევის ხელშეკრულება და მიმართა სასამართლოს დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით. ამავე დროს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ განცხადების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო გამოსცა 2018 წლის 16 აგვისტოს განკარგულება სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ შავ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს აღნიშნული გადაწყვეტილება უნისონის მხრიდან გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რომელმაც 2018 წლის 23 აგვისტოს განჩინების საფუძველზე სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა შესყიდვების სააგენტოს სადავო აქტის მოქმედება (შავ სიაში კომპანიის რეგისტრაციასთან დაკავშირებით).

სააგენტომ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დაზუსტების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან გამოითხოვა ინფორმაცია 2017-2019 წლებში სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ შავ სიაში ყოფნის შესახებ.[58] შესყიდვების სააგენტომ კონკურენციის სააგენტოს განუმარტა, რომ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ SPA170013822 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2017 წლის 22 დეკემბრის №0300/30/294 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2018 წლის 29 მაისს №01/3403 წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

[57] სს “სადაზღვევო კომპანია უნისონის“ 2020 წლის 4 მაისის №01/249 წერილი.
[58] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2020 წლის 16 აპრილის №02/326 წერილი.

თავმჯდომარის 2018 წლის 16 აგვისტოს №1942 განკარგულებით 2018 წლის 17 აგვისტოს დარეგისტრირდა შავ სიაში.

თუმცა, შესყიდვების სააგენტოს განმარტებით,[59] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2018 წლის 23 აგვისტოს მიღებული განჩინების საფუძველზე (№3/5332-18), შეჩერებულ იქნა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და შესყიდვების სააგენტოს დაევალა მომჩივანის შავი სიიდან ამოღება. შესყიდვების სააგენტომ უნისონის შავ სიაში რეგისტრაცია შეაჩერა 2018 წლის 30 აგვისტოდან. შესაბამისად, იმ პერიოდისათვის, როდესაც სადავო მიმოწერა განხორციელდა სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ არ იმყოფებოდა შავ სიაში და შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ შავ სიაშიც შეუძლებელი იქნებოდა მისი მოძიება.

ახსნა-განმარტების სხდომაზე[60] მომჩივანმა დამატებით განმარტა, რომ ამ ეტაპისათვის პირველ ინსტანციაში დავა დასრულდა მათ სასარგებლოდ (სასამართლომ დააკმაყოფილა უნისონის სარჩელი თბილისის სატრანსპორტო კომპანიის წინააღმდეგ, გარდა მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნისა). დავა გრძელდება ზემდგომ ინსტანციაში და უნისონის შავ სიაში რეგისტრაციის შეჩერების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2018 წლის 23 აგვისტოს განჩინება ძალაში რჩება სამოქალაქო დავის სრულად დასრულებამდე.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების შეჯამებიდან გამომდინარე, დგინდება, რომ ნ.ბ-ს მიერ გავრცელებული ცნობა სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ შავ სიაში რეგისტრაციის და მასში სისტემატურად ყოფნის თაობაზე იყო მცდარი. ამასთან, მოპასუხის წარმომადგენლის მხრიდან ხსენებული ინფორმაციის გავრცელების მომენტში მომჩივანი კომპანია დანამდვილებით არ იყო შესყიდვების სააგენტოს შავ სიაში რეგისტრირებული.

7.2. სს „ბანკი ქართუს“ მიმართ სასესხო დავალიანების გარემოება

მომჩივანი სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საჩივარში აპელირებს მოპასუხის წარმომადგენელ ნ.ბ-ს მხრიდან შპს „Caucasian Metals Terminal”-თან სამსახურებრივი მეილით მიმოწერისას გავრცელებულ ცნობაზე, თითქოს სს „სადაზღვევო კომპანია უნისონმა“ სს „ბანკი ქართუსაგან“ აიღო სესხი ზარალის დასაფარად, მას შემდეგ რაც „კლიენტებისგან ვერ ისესხა“.

აღნიშნული ცნობების არამართებულობის დასადასტურებლად, მომჩივანმა მხარემ სააგენტოს წარუდგინა სს „ბანკი ქართუს“ 2020 წლის 7 თებერვლის წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ ნამდვილად არის სს „ბანკი ქართუს“ კლიენტი, თუმცა გარკვევით არის მითითებული, რომ უნისონს აღნიშნული ბანკში არასდროს ჰქონია

[59] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2020 წლის 28 აპრილის №01/236 წერილი.
[60] სსიპ კონკურენციის სააგენტო ახსნა-განმარტების სხდომის ოქმი №2, 4/08/2020.

სესხი და ამასთან, არ უფიქსირდება არც მიმდინარე სესხი ან რაიმე სახის თანმდევი დავალიანება.[61] ვინაიდან, ბანკს შეუძლია გასცეს ზუსტი ცნობა იმის შესახებ, აქვს თუ არა კონკრეტულ სუბიექტს მასთან სასესხო ურთიერთობა, ხოლო დასახელებულმა ბანკმა თავად უარყო სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ მიერ მათთან სასესხო ურთიერთობის ქონა, დგინდება, რომ ნ.ბ-ს გავრცელებული აღნიშნული გარემოებაც არ შეესაბამება სიმართლეს.

7.3. ელექტრონულ მიმოწერაში დაფიქსირებული ცალკეული გარემოებები და მათი მიმართება კანონის მე-11³ მუხლთან

ა) „...როგორ შეიძლება ვენის ოფისმა ენდოს კომპანიას, რომლის მოგება 27 000 ლარია...“

ნ.ბ.-სა და შპს “Caucasian Metals Terminal”-ის წარმომადგენელს შორის მომჩივანზე ნეგატიურ კონტექსტში საუბარი გამოიწვია, შპს “Caucasian Metals Terminal”-ის მიერ ინფორმაციის მიწოდებამ, რომ თბომავლის დასაზღვევად „ვენის ოფისმა არჩევანი კომპანია „უნისონზე“ შეაჩერა“ (2019 წლის 25 ნოემბრის წერილი). ხსენებული ეტაპისათვის ქონების დაზღვევის საკითხი გადაწყვეტილი არ იყო და ამასთან დაკავშირებით ორივე კომპანიასთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება სხვადასხვა დეტალის დაზუსტების მიზნით.

როგორც მიმოწერიდან ირკვევა, მომჩივანზე არჩევანის გაკეთებამ, ნ.ბ-ს გაღიზიანება გამოიწვია და აღნიშნა, რომ მას არ გაუკვირდებოდა არჩევანი სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაიზე“ რომ შეეჩერებინათ, „მაგრამ უნისონი?“. იმავე მიმოწერაში უთითებს, რომ დაზღვევის ზედამხედველობის საიტზე ყველასათვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია სადაზღვევო ბაზრის შესახებ, ამიტომ არ ესმოდა როგორ შეეძლო ვენის ოფისს ნდობა გამოეცხადებინა კომპანიისათვის, რომლის მოგებაც 27 000 ლარი იყო.

გადაწყვეტილებაში არა ერთხელ გაესვა ხაზი გარემოებას, რომ სადაზღვევო ბაზარს ჰყავს საკუთარი ზედამხედველი, რომლის ოფიციალურ ვებ-გვერდზეც ქვეყნდება სადაზღვევო ბაზართან დაკავშირებული მოცულობითი ინფორმაცია, მათ შორის, კომპანიების მოგების მონაცემებიც. ნ.ბ-ს წერილში დასახელებული თანხა, მნიშვნელოვნად ჩამორჩება მომჩივანის მიერ 2019 წლის პირველი სამი კვარტლის მოგების ოდენობას. ვინაიდან, აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, მასზე ხაზგასმა, მით უფრო არასწორი ინფორმაციის მიწოდება, სცდება ჯანსაღი კონკურენციის ფარგლებს. ამასთან, აღნიშნული რომც ყოფილიყო სარწმუნო, დაბალ თანხაზე ხაზგასმა წერილის ავტორის მხრიდან ემსახურებოდა კომპანიის არასანდოობისა და დაბალ რენტაბელურობაზე ხაზგასმას, რაც უდავოდ წარმოადგენს საქმიანი ეთიკის დარღვევასა და კონკურენტის რეპუტაციის შელახვას, რაც გამოიხატა საწარმოზე არასწორი შეხედულების შექმნაში.

[61] სს „ბანკი ქართუს“ 2020 წლის 7 თებერვლის წერილი (№3732/2020)

ბ) „...რომ ერთი დიდი ზარალი ვერ დაფარა და კრედიტი აიღო, ასეთმა კომპანიამ ოპერირება როგორ უნდა შეძლოს ბაზარზე, მაგრამ ეს უნისონის საქმეა და მისი კლიენტებისაც.“

იმავე მიმოწერაში, მას შემდეგ რაც პოტენციური მომხმარებლისაგან მიიღო პასუხი, რომ გადაწყვეტილების მიმღებს გააჩნდა ყველანაირი ინფორმაცია, ნ.ბ-მ დამატებით მისწერა მათ, რომ კომპანიის მონაცემებისათვის წლის ჭრილში უნდა შეეხედათ და წლიური მონაცემებით შეეფასებინათ. ასევე დაუმატა, რომ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონს“ კი არ გადაუხდია მისი წილი, არამედ მისმა გადამზღვეველმა გადაიხადა, „ხოლო არაფრონტიგის წილის გადასახდელად უნისონმა კრედიტი აიღო ბანკი ქართუსგან“. რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ „სადაზღვევო სფეროს ბიზნეს საქმიანობაში, რომ ერთი დიდი ზარალო ვერ დაფარა და კრედიტი აიღო, ასეთმა კომპანიამ ოპერირება როგორ უნდა შეძლოს ბაზარზე, მაგრამ ეს უნისონის საქმეა და მისი კლიენტებისაც.“

ფინანსური სტაბილურობის ჭრილში, იმ პირობებში, როდესაც დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური საკუთარ ვებ-გვერდზე აქვეყნებს ბაზარზე არსებული სადაზღვევო კომპანიების თითქმის ყველა სახის ფინანსურ მონაცემებს, რაშიც შედის მოგების, წაგების, მოზიდული პრემიების, დამდგარი და ანაზღაურებული ზიანის და ა.შ საკითხები, ეკონომიკური აგენტისაგან კონკურენტ სადაზღვევო კომპანიაზე მსგავსი ცნობების მიწოდება არღვევს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების საქმიანი ეთიკის ნორმებს. მით უფრო, რომ გავრცელებული ცნობები შეიცავს არსებით უსწორობას და მცდარ ინფორმაციას.

დამდგარი ზარალის ანაზღაურების საკითხზე, კონკრეტულად კი იმაზე, თუ ვინ აანაზღაურა მომჩივანი მხარის კომპანიის დამდგარი ზარალი, უშუალოდ უნისონმა თუ გადაზღვევმა, კომპანიის წარმომადგენელმა სააგენტოს ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე[62] განაცხადა, რომ სადაზღვევო ბიზნესის ტიპური დამახასიათებელი ნიშანია რისკების გადაზღვევა, მით უფრო როდესაც საქმე ეხება დიდი ოდენობით ქონების თუ სხვა სიკეთის დაზღვევას. მომჩივანმა დააზუსტა, რომ არც ერთი კომპანია არ ეწევა საქმიანობას რისკების გადაზღვევის გარეშე, პირიქით, ხშირად კლიენტები გადამზღვევი კომპანიის გამოც კი აკეთებენ საქართველოში მოქმედ კონკრეტულ კომპანიაზე არჩევანს. შესაბამისად, იმაში, რომ კონკრეტული ზარალი გადაიხადა გადამზღვევმა, არაფერია არც უცნაური და კონკრეტული ბაზრისათვის არა დამახასიათებელი, შესაბამისად, არც დასამალი. აღნიშნული განცხადება მომჩივანმა გააკეთა მოპასუხის თანდასწრებით, რაზეც მოპასუხეს საპირისპირო კომენტარი არ გაუკეთებია.[63]

შესაბამისად, აღნიშნული არასწორი ცნობების გავრცელება ასევე მიესადაგება კანონის მე-11[3] მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემადგენლობას.

---

[62] სსიპ კონკურენციის სააგენტო ახსნა-განმარტების სხდომის ოქმი №2, 4/08/2020.
[63] სსიპ კონკურენციის სააგენტო ახსნა-განმარტების სხდომის ოქმი №2, 4/08/2020.

გ) „უნისონისნაირი კომპანიები ბევრია ბაზარზე, ბევრი გამქრალა და არც მათ აქვთ დიდი დრო დარჩენილი...“

ასევე საგულისხმო და საყურადღებოა ნ.ბ-ს შეფასება სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ საქმიანობის მომავალთან დაკავშირებით. კერძოდ, მის მიერ ელექტრონული ფოსტით გავრცელებულ ცნობაში უთითებს, რომ „უნისონისნაირი კომპანიები ბევრია ბაზარზე, ბევრი გამქრალა და არც ამათ აქვთ დიდი დრო დარჩენილი“, შემდეგ კი ამატებს, რომ დასახელებული 40 მილიონი ზარალის ანაზღაურებისათვის, „ჯერ თავიანთ კლიენტებთან ირბინეს ფული გვასესხეთო და მერე ბანკს მიმართეს“. კონკრეტული მიმოწერის პირველ ნაწილს თუ შევეხებით, იგი არაეთიკურია არა მხოლოდ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ მიმართ, არამედ ყველა დანარჩენი სადაზღვევო კომპანიების მიმართ, რომლებიც ბაზარზე უფრო ნაკლებ წილს იკავებენ, ახლა ცდილობენ დაზღვევის ბაზარზე ოპერირების დაწყებას და შესაბამისად, არ აქვთ ალდაგის მსგავსი არც ფინანსური, და არც საქმიანი გამოცდილება. მსგავსი დამოკიდებულება არაეთიკური და არაკორექტულია არა მხოლოდ აღნიშნული კონტექსტიდან გამომდინარე, როდესაც ცალსახა მიზანი არის მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე რაიმე სახის გავლენის მოხდენა კონკურენტის დაკნინებისა და უპატივცემულობის დემონსტრირების ხარჯზე, არამედ ზოგადადაც, როდესაც კომპანია საკუთარი უპირატესობის წარმოჩენას ცდილობს სხვა ეკონომიკური აგენტის ნაკლოვანების წარმოჩინების ხარჯზე. აღნიშნული ცალსახად ეწინააღმდეგება ჯანსაღი კონკურენციისა და საქმიანი ეთიკის წესებს.

დ) „რახან ჰედებთან მიემგზავრები ინფოს გატან... უნისონი ამ სლაიდს არ აფრიალებს რატომღაც“

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ მოკვლევის ფარგლებში სააგენტოსთან წარმოებულ კორესპონდენციასა თუ ზეპირ სხდომაზე[64] განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ნ.ბ-სა და შპს „Caucasian Metals Terminal”-ს შორის წარმოებული მიმოწერა ატარებდა მხოლოდ და მხოლოდ მეგობრულ ხასიათს და მიზნად არ ისახავდა მის შემდგომ გავრცელებას. მოპასუხე კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, თავად ნ.ბ. მიიჩნევს შპს „Caucasian Metals Terminal”-ის დირექტორს მეგობრად, შესაბამისად, მათ შორის მიმოწერაც იყო მხოლოდ და მხოლოდ მეგობრული ხასიათის მატარებელი. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მიმოწერა არ მიმდინარეობდა მხოლოდ და მხოლოდ ნ.ბ-სა და შპს „Caucasian Metals Terminal”-ის დირექტორს შორის, არამედ თავდაპირველი მიმოწერის ადრესატი, რომელშიც გაჟღერდა უნისონთან დაკავშირებული გადაუმოწმებელი ინფორმაცია, იყო არა დირექტორი, არამედ კომპანიის იურისტი, რომელიც მთელი მიმოწერის განმავლობაში

[64] სსიპ კონკურენციის სააგენტო ახსნა-განმარტების სხდომის ოქმი №2, 4/08/2020.

უნისონთან დაკავშირებულ ნიუანსებზე პასუხობდა ნ.ბ.-ს. შესაბამისად, თუ ნ.ბ-ს მხოლოდ მეგობართან საუბარი სურდა, ის არ მისწერდა კომპანიის იურისტს (რომელთან მეგობრობაზეც მოპასუხე მხარეს პოზიცია არ დაუფიქსირებია) და აუცილებლობის შემთხვევაში, პირადად, კომუნიკაციის სხვა საშუალების მეშვეობით ჩააყენებდა მეგობარს საქმის კურსში. თუმცაღა, ბუნებრივია, მეგობრობის მიუხედავად მიმოწერის შინაარსი და მისი შეფასება ვერ შეიცვლებოდა. ამასთან, თავად მომხმარებელიც, მომჩივანისათვის მიწერილ კორესპონდენციაში აქცენტს აკეთებს ამ მიმოწერის საქმიან და კოლეგიალურ ხასიათზე.[65]

სააგენტო ვერ შეაფასებს ნ.ბ-სა და კლიენტი კომპანიის დირექტორის შორის მეგობრობის ხარისხს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ განსახილველ შემთხვევაში ნ.ბ-ს მიერ თუნდაც მეგობრული ურთიერთობის გამოყენება ხდებოდა კომპანიის ინტერესიდან გამომდინარე, რათა კლიენტი არ წასულიყო მის კონკურენტ კომპანიაში. აღნიშნული დასტურდება ნ.ბ-ს მიერ კომპანიის სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან მიმოწერაში გამოხატულ წუხილში იმის თაობაზე, რომ შპს „Caucasian Metals Terminal-მა თბომავალი სხვა კომპანიაში დააზღვია და არ უნდა ამ კლიენტის დაკარგვა, შესაბამისად ქონების დაზღვევასთან მიმართებით ითხოვს კლიენტისათვის მომხიბვლელი შეთავაზების გაკეთების შესაძლებლობის მიცემას.[66] შპს „Caucasian Metals Terminal"-ის წარმომადგენელმა როგორც ახსნა-განმარტებით სხდომაზე,[67] ასევე მოკვლევის ბოლო ეტაპზე მოპასუხისათვის წარდგენილ კორესპოდენციაში აღნიშნა, რომ ქონების ალდაგში დაზღვევა მათ მიერ წინასწარვე გადაწყვეტილი იყო და უნისონისათვის შეთავაზებების წარმოდგენის მოთხოვნა მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობას წარმოადგენდა. აღნიშნული ფაქტის უტყუარ გარემოებად მიჩნევის შემთხვევაშიც კი, არ იცვლება ის გარემოება, რომ ნ.ბ-მ ამის შესახებ არ იცოდა და ლოგიკურად, არც უნდა სცოდნოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ იქნებოდა შეწუხებული კლიენტის მიერ თბომავლის კონკურენტ კომპანიაში დაზღვევით და არ სთხოვდა მის ზემდგომებს, მომხმარებლისათვის ფასის დაკლებას და უკეთესი შეთავაზების გაკეთებას, რაც დასტურდება საქმის მასალებში წარმოდგენილი ელექტრონული ფოსტის მიმოწერებით.

ასევე აღსანიშნავია კომპანიის იურისტის პასუხები და რეაქცია ნ.ბ-ს მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე. ტექსტიდან ირკვევა, რომ კომპანიის იურისტს მოუწია ერთგვარ თავდაცვითი ფუნქციის აღება და კომპანიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაცვა.[68]

ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ მიმოწერის მთელი შინაარსი და მოცემულობა პირდაპირ დაკავშირებულია ქონების დაზღვევის წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებებთან და ნ.ბ. შპს „Caucasian Metals Terminal"-ის დირექტორს ესაუბრება, როგორც პოტენციური კლიენტის უფლებამოსილ წარმომადგენელს, შესაბამისად, მიმოწერის არსი აგებულია

[65] სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის" 2020 წლის 6 აგვისტოს №01/398 წერილი.
[66] სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის" 2020 წლის 4 ივნისის №01/289 წერილით წარმოდგენილი დანართები.
[67] მოკვლევის ჯგუფის წევრის 2020 წლის 29 ივნისის ახსნა-განმარტებითი ბარათი №01/324 (თან ერთვის ახსნა-განმარტებითი სხდომის ჩანაწერი).
[68] სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის" 2020 წლის 26 თებერვლის საჩივრის დანართი.

სუფთა საქმიანი ურთიერთობის ჭრილში და არანაირად არ მოიცავს მეგობრებს შორის პირადი, ნათესაური თუ ოჯახური ურთიერთობების განხილვას.

მეგობრული მიმოწერის კონტექსტს გამორიცხავს ის გარემოებაც, რომ ნ.ბ-მ, მას შემდეგ რაც მიმოწერიდან შეიტყო, რომ მომხმარებლის წარმომადგენელი მიემგზავრებოდა სათავო ოფისის წარმომადგენლებთან, ვენაში, წერს ფრაზას, რომ ინფორმაციას ატანს ე.წ. „ჰედებთან“, ანუ მის ზემდგომ პირებთან, არა ადგილობრივ დონეზე, არამედ დამფუძნებლებთან, რომლებიც განთავსებულნი არიან ავსტრიის დედაქალაქ ვენაში.

გამომდინარე იქიდან, რომ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11[3] მუხლის მოქმედების გამორიცხვისათვის მოცემულ დავასთან დაკავშირებით იყენებს ნ.ბ-სა და შპს „Caucasian Metals Terminal”-ის დირექტორს, ი.კ-ს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას, იმ არგუმენტების გარდა, რაც გადაწყვეტილებაში აღნიშნული პირების ურთიერთობასთან მიმართებით არის მოხსენიებული, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სადავოდ გამხდარი მიმოწერა გაიმართა ნ.ბ-სა და შპს „Caucasian Metals Terminal”-ის იურისტ, გ.თ-ს შორის. ნ.ბ-ს მიერ გადაწყვეტილებაში მოყვანილი მცდარი და არაეთიკური ინფორმაციის მთავარი ადრესატიც იყო გ.თ. კომპანიის დირექტორი, ი.კ და ასევე სხვა თანამშრომლები იყვნენ მიმოწერის cc-ში, თუმცა მიმოწერის კონკრეტულ მონაკვეთში, რომელიც მომჩივანის აზრით წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დამადასტურებელ ფაქტს, ი.კ-ს პასუხი ნ.ბ-სათვის პირადად არ დაუბრუნებია, ნ.ბ-ს პასუხს სცემდა უშუალოდ გ.თ. მიუხედავად, ერთი მხრივ მოპასუხის, ხოლო მეორე მხრივ, მომხმარებელი კომპანიის დირექტორის, ი.კ-ს მტკიცებისა, რომ ნ.ბ-სა და მას შორის ახლო მეგობრული ურთიერთობა იყო, ინფორმაციის გაზიარება არ მომხდარა მხოლოდ ი.კ-სათვის, არამედ მინიმუმ იმ ორი სხვა პირისთვისაც, რომლებიც ი.კ-სთან ერთად იყვნენ ასევე ელექტრონული ფოსტით განხორციელებული მიმოწერის ადრესატები, რაც ბუნებრივია აფართოებს იმ პირთა წრეს, ვინც მოზიარე გახდა მომჩივანი კომპანიის შესახებ გავრცელებული არასწორი ცნობების გაცნობისა. ზემოთ დასახელებული არგუმენტებიდან გამომდინარე, სააგენტო მიმოწერის შეფასებისას ვერ დაეყრდნობა იმ გარემოებას, რომ ნ.ბ. და ი.კ. წლების განმავლობაში ახლო მეგობრები იყვნენ, ხოლო განხორციელებული მიმოწერა მხოლოდ მათ შორის, როგორც ახლობლებს შორის გაიმართა.

ინფორმაციის ზემდგომ პირებთან („ჰედებთან“) მიტანის კონტექსტში აღსანიშნავია სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ მიერ დამატებით წარმოდგენილ პოზიციაში დაფიქსირებული მოსაზრება. კერძოდ, მათი განმარტებით, „ჰედებთან“ ნ.ბ. ითხოვდა მხოლოდ იმ ინფორმაციის მიწოდებას, რაც ისედაც ხელმისაწვდომი იყო სსიპ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის საიტზე. აღნიშნული კიდევ უფრო წინააღმდეგობრივია, რადგან გ.თ. მიმოწერაში არაერთხელ აღნიშნავს, რომ ვენის ოფისს ჰქონდა საჯაროდ ხელმისაწვდომი ყოველგვარი ინფორმაცია და მათზე დაყრდნობით გააკეთეს თბომავლის დაზღვევისას უნისონის სასარგებლოდ გადაწყვეტილება. თუ ნ.ბ-ს მიზანი მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომი გარემოებების ე.წ. „ჰედებისათვის“ გაცნობა იყო,

გ.თ-ს პასუხის შემდეგ წესით მას მსგავსი შინაარსის მიმოწერა აღარ უნდა გაეგრძელებინა, თუმცა ამის საპირისპირო ჩანს მიმოწერაში.

ინფორმაციის „ჰედებთან“ მიტანის შესახებ მინაწერი ბუნებრივია არა მხოლოდ ეჭვქვეშ აყენებს ინფორმაციის მეგობრული გაზიარების ფაქტს, არამედ პირიქით, ადასტურებს, რომ რეალურად, მიზანი სწორედ ინფორმაციის მენეჯმენტის ზედა რგოლში ატანა და გავრცელება იყო. როგორც გადაწყვეტილებაში უკვე აღინიშნა, კონკურენციის სააგენტოს ხელთ არსებული მასალებიდან გამომდინარე, არ დგინდება საბოლოოდ იქნა თუ არა ნ.ბ-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია სათავო ოფისისათვის მიწოდებული, რა ზეგავლენა იქონია ან შეცვალა თუ არა აღნიშნულმა ინფორმაციამ ქონების დაზღვევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება. თუმცა, მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ შპს „Caucasian metals Terminal”-ი დაინტერესდა გავრცელებული ინფორმაციის სისწორით და ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებით უნისონს მოსთხოვა შესაბამისი ახსნა-განმარტება და დამადასტურებელი დოკუმენტაცია.[69] ამასთან, შპს „Caucasian metals Terminal”-ის დირექტორმა სააგენტოსთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში დააფიქსირა პოზიცია, რომ ნ.ბ.-ს მიერ გაზიარებული ცნობების გადამოწმება მნიშვნელოვანი იყო მათთან სამომავლო თანამშრომლობის კუთხით. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს და ხაზი გაესვას გარემოებას, რომ კანონის მე-11[3] მუხლის „გ“ ქვეპუნქტის კვალიფიკაციისათვის არ აქვს არსებითი მნიშვნელობა გარემოებას, მოახდინა თუ არა ცრუ ინფორმაციის გავრცელებამ მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე რაიმე ზეგავლენა - მნიშვნელოვანია, რომ მიმოწერა ატარებს ისეთ ხასიათს, რომელსაც პოტენციურად შეეძლო ამა თუ სხვა მომხმარებლის ქცევის შეცვლა. ასევე, არ არის რელევანტური იმის შეფასება, კონკრეტულად აღნიშნულმა ცნობებმა გამოიწვია თუ არა მომხმარებლის მიერ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგთან“ ხელშეკრულების გაფორმება. თუმცა, მომხმარებლის თვალში კომპანია უნისონის რეპუტაციის შელახვა, როგორც შედეგი, გამოიხატება სწორედ იმაში, რომ მომხმარებელს გაუჩნდა ეჭვი და საჭირო გახდა ინფორმაციის დაზუსტება სს „სადაზღვევო კომპანია უნისონთან“ სამომავლო თანამშრომლობის დამყარების კუთხით.

ამასთან, ისევ უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არსებული მრავალწლიანი ურთიერთობა ბუნებრივადაც კი აყალიბებს ნდობასა და მეგობრობას. სწორედ ამიტომ, მსგავს კლიენტებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის პროცესში მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიას, რათა არ მოახდინოს კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებზე უარყოფითი ცნობების გავრცელება, რაც არსებული ხანგრძლივი ურთიერთობიდან გამომდინარე ზრდის კლიენტებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას.

[69] სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ 2020 წლის 4 მაისის №01/249 წერილის დანართი.

დასკვნა

გადაწყვეტილებაში მოცემული გარემოებებიდან და მსჯელობიდან გამომდინარე, სააგენტომ მიიჩნია, რომ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ თანამშრომელი, ნ.ბ. მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდიოდა კომპანიის სახელით, აწარმოებდა მოლაპარაკებებს და რაც მთავარია, ავლენდა გარიგების დადების ნებას კომპანიის და არა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, მომხმარებლის გადმოსახედიდანაც, იგი აღიქმებოდა კომპანიის წარმომადგენლად. შესაბამისად, ნ.ბ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზნებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე განიხილება როგორც სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ წარმომადგენელი და მის მიერ განხორციელებული ქმედება შეერაცხება წარმოდგენილ პირს, ალდაგს.

დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, მომჩივანი და მოპასუხე კომპანიები საქმიანობენ ერთსა და იმავე ბაზარზე, კერძოდ ორივენი ეწევიან სადაზღვევო საქმიანობას შესაბამისი ლიცენზიებით, მოქმედებენ დაზღვევის (არა სიცოცხლის) ბაზარზე და წარმოადგენენ ერთმანეთის კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11[3] მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, არაკეთილსინდისიერი კონკურენია დაუშვებელია. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს. მიმდინარე მოკვლევის მიზნებისათვის, საქმიანი ეთიკის ნორმების დარღვევა გამოიხატა ალდაგის თანამშრომლის მიერ ისეთი ცნობების გავრცელებაში, რომლებიც არ შეესაბამებოდა სიმართლეს და მიზნად ისახავდა სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ რეპუტაციის შელახვას, მის უსაფუძლო კრიტიკასა და დისკრედიტაციას (მე-11[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). გავრცელებულ ცნობების სიმცდარე დგინდება შესაბამისი მასალებით. ამასთან, კონკრეტული თანამშრომლის ქმედების არაეთიკურობას ადასტურებს თავად კომპანია ალდაგიც, რაც გამოიხატა მათ მიერ თანამშრომლისათვის წერილობითი საყვედურის გამოცხადებაში და დადასტურდა ახსნა-განმარტებით სხდომაზე.

სააგენტომ არ გაიზიარა ალდაგის არგუმენტაცია სადავო მიმოწერის მეგობრულ ხასიათთან დაკავშირებით, ვინადაინ ინფორმაციის მხოლოდ მეგობრული გაზიარება ეჭვქვეშ დგება მთელი რიგი გარემოებებიდან გამომდინარე - კომპანია ალდაგის წარმომადგენელი ნ.ბ. მოქმედებდა მისი კომპანიის ინტერესების დაცვისთვის, მოლაპარაკებებს აწარმოებდა სამსახურის ოფიციალური მეილის საშუალებით და მის მიზანს წარმოადგენდა შპს „Caucasian Metals Terminal”-ის, როგორც კლიენტის, შენარჩუნება. ამასთან, კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია, რომ მეგობრული და ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა უფრო მეტად აღჭურვავს ნებისმიერ კომპანიას პასუხისმგებლობით, მისი საქმიანობის პროცესში დაიცვას

ეთიკის ნორმები, რადგან ამ შემთხვევაში უფრო მეტია მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის პოტენციური რისკი.

ამასთან, სააგენტო კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას, რომ კანონის მე-11[3] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, მისი კვალიფიკაციისათვის, სავალდებულოდ არ ითვალისწინებს შედეგის დადგომის აუცილებლობას. შესაბამისად, სააგენტო არ აფასებს, გავრცელებულმა ცნობებმა რეალურად მოახდინა თუ არა გავლენა მომხმარებლის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე - არსებითია კონკურენტი კომპანიის რეპუტაციის შელახვა და მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მცდელობა. თუმცა, სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ რეპუტაციის შელახვა, როგორც შედეგი, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში დადგა იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ შპს „Caucasian Metals Terminal”-ის მხრიდან, კომპანია უნისონთან სამომავლო თანამშრომლობის მიზნით, საჭირო გახდა ნ.ბ.-ს მიერ გავრცელებული ცნობების გადამოწმება.

ამდენად, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ თანამშრომლის მიერ გავრცელებული ცნობები, მისი ხასიათიდან გამომდინარე, ლახავს კონკურენტის რეპუტაციას, არასწორ წარმოდგენას ქმნის მის საქმიანობაზე, რასაც ასევე თან ახლავს უსაფუძლო კრიტიკა და დისკრედიტაცია, აღნიშნული ქმედების ერთობლიობა კი წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11[3] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

თავი IV. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11[3] მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-17[1] მუხლის მე-4 ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის 23-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დადასტურდეს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11[3] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი, რაც გამოიხატა სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ წარმომადგენლის მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებაში.
2. კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგს“ დაევალოს - დაუყოვნებლივ უზრუნველყოს გავრცელებული ცნობების უარყოფა შპს „Caucasian Metals Terminal”-ისათვის ოფიციალური წერილის გაგზავნის გზით.

3. სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგმა“ ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების შესახებ კონკურენციის სააგენტოსა და სს „სადაზღვევო კომპანია უნისონს“ წერილობითი ინფორმაცია მიაწოდოს კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 თვეში.